ᲛᲨᲠᲝᲚᲔᲗᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 45-Ე ᲬᲚᲘᲡ. № 147 (12963) | ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 25 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, 1964 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲠᲔᲙᲢᲘᲕᲔᲑᲘ

ᲜᲘᲪᲕᲜᲘ ᲢᲐᲑᲘᲚᲘ, 23 ივნისი (საკდესის კორ). დღეს ნიცვნი ტაბილის მეტალურგთა სასახლეში მუშაობა დაიწყო ჩვენი ქვეყნის მეტალურგიულ საწარმოთა მშენებლობების პარტიული ორგანიზაციის მდივანთა სრულიად საკავშირო სემინარმა. სემინარში მონაწილეობს უდიდესი სამშენებლო ტრესტების 120 პარტიული ხელმძღვანელი. ისინი მუშაობის გამოცდილებას გაუზიარებენ ერთმანეთს, დასახავენ გზებს, თუ როგორ დაჩქარონ ახალი საწარმოო სიმძლავრეების ამოშავება მეტალურგიულ საწარმოებში, როგორ გაეუმჯობესონ ხარისხი და შეამცირონ მშენებლობის თვითღირებულება, გააძლიერონ აღმზრდელობითი მუშაობა მშენებლებთან.

ᲪᲘᲛᲑᲘᲠᲔᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲫᲘᲔᲑᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 23 ივნისი. (საკდესის კორ.). გეოლოგთა ამასწინანდელი ძიების შედეგად ნავთობისა და გაზის მარაგი ციმბირში მნიშვნელოვნად აღემატება პირველადელ პროგნოზს. ასეთი დასკვნა უკანასკნელი ძიების შედეგად გამოიტანა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების გეოლოგთა ჯგუფმა. დღეს მიწის შესახებ მეცნიერებათა განყოფილების საერთო კრებაზე კვლევის შედეგებზე მოხსენება გააკეთეს ამ ძიების მონაწილეებმა — აკადემიკოსმა ა. ა. ტროფიმუკმა და აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ი. ა. კოსიგინმა.

ღრმა ბურღვის შედეგად, რომელიც წარმოებდა გასული წლის დამლევს და მიმდინარე წლის დამდეგს, მეცნიერებმა და სპეციალისტმა გეოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ ნავთობის საბადოები არა მარტო კამბრიულ ქანებშია, არამედ ნავთობით გაჟღენთილია აგრეთვე ციმბირის პლატფორმის კამბრიუმამდელი ფენები.

ნავთობის მარაგი, რომელიც ძირითადად დაახლოებით სამი ათას მეტრ სიღრმეზეა დაგროვილი, ერთისამად აღემატება კამბრიუმის მარაგს. ამგვარად შეძლეს ციმბირის მეცნიერებმა ჩვენი ქვეყნის უდიდესი ნავთობის რაიონის ახალი პროგნოზის შედგენა. კიდევ ერთი მოხსენება, რომელიც წაიკითხეს მიწის შესახებ მეცნიერებათა განყოფილების კრებაზე, მიეძღვნა ნავთობის წარმოშობის პრობლემას. მოხსენება ნავთობის წარმოშობის გეოქიმიურ ასპექტებზე წაიკითხა პროფესორმა ნ. ბ. ვასოევიჩმა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲥᲜᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚ ᲫᲘᲔᲑᲐᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲐᲠᲐᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲐ-ᲥᲘᲛᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲥᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲐᲛᲮ. Ა. Ი. ᲪᲐᲕᲘᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲮᲘᲓᲔᲑᲘᲡ მშენებლობის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდა წლეულთან დაკავშირებით სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის ხიდების მშენებლობის № 571 სპეციალიზირებული სამმართველოს უფროსი ამხ. ანდრია ირაკლის-ძე ცქიტიშვილი დაჯილდოდეს სსრ კავშირის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ᲫᲝᲬᲔᲜᲘᲫᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. ᲙᲐᲕᲐᲩᲐᲫᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ,
1964 წლის 24 ივნისი.

ᲡᲐᲥᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 24 ივნისი. (საკდესი). ქავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში დღეს მუშაობა დაიწყო საკავშირო პროფსაბჭოს IV პლენუმმა. პლენუმი გახსნა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ვ. ვ. გრიშინმა.

დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები: „მეცნიერულ-ტექნიკური საზოგადოებების გამოგონებათა, რაციონალიზატორულ წინადადებათა და რეკომენდაციათა წარმოებაში დანერგვის მდგომარეობა და ამ საქმის გაუმჯობესების ღონისძიებანი“, „როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 10 აგვისტოს დადგენილება „ჰოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ

მოსკოვი, 23 ივნისი. (საკდესის კორ.). დღეს მოსკოვში გაიხსნა ახალგაზრდული გაზეთების მუშაკთა საკავშირო შემოქმედებითი სემინარი, რომელიც მოიწვიეს სრულიად საკავშირო ალკაკ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობამ. სემინარის თემაა — „ჟურნალისტი და ცხოვრების მოთხოვნები“.

შესავალი სიტყვით სემინარი გახსნა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანმა, საკდესის გენერალურმა დირექტორმა დ. გორიუნოვმა.

სემინარის მუშაობის პირველ დღეს სიტყვები წარმოთქვეს „კომსომოლსკაია პრავდის“ მთავარმა რედაქტორმა ი. ვორონოვმა, „კომსომოლსკაია პრავდის“ და „პრავდის“ სპეციალურმა კორესპონდენტებმა ვ. პესკოვმა და ე. რიაბჩიკოვმა.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲗᲐᲜ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ დოკუმენტური კინოს მუშაკებმა შექმნეს ახალი ფერადი ფილმი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობაზე არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში. ფილმის განხილვა მოეწყო 19 ივნისს დოკუმენტური ფილმების ცენტრალურ სტუდიაში.

ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲐ

ᲒᲣᲚᲗᲑᲘᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲨᲕᲔᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲬᲕᲐᲖᲔ

ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲘ, 23 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ). დღეს სალამოს სტოკჰოლმის რატუშაში გაიმართა დიდი დარბაზობა, რომელიც შვეციის დედაქალაქის ხელისუფლებმა მოაწყეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად.

ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲘ. (საკდესის სპეც. კორ.). როგორც უკვე ვიუწყებოდით, სტოკჰოლმის ხელისუფლებმა 23 ივნისს დიდი დარბაზობა მოაწყეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად.

ლამაზი და დიდებულია სტოკჰოლმის რატუშა, რომელიც თითქოს ლაჟვარდოვანი მელარენის ტბიდან ამოზიდულა. მისი სილუეტი შვეციის დედაქალაქის სიმბოლო გახდა. აქ ხვდებიან ხოლმე შვეციის სახელმწიფოს საპატიო სტუმრებს. რატუშა მასობრივი შეხვედრებისა და კრებების ადგილია. რატუშის შესასვლელთან მაღალ ფლაგშტოკებზე შვეციის ალმებთან ერთად ფრიალებენ სსრ კავშირის სახელმწიფო ალმები: რატუშა ეგებება საპატიო საბჭოთა სტუმარს — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს.

ფანფართა ხმებში ქალაქის რწმუნებულთა საბჭოს თავმჯდომარის კ. ა. ანდერსონის თანხლებით რატუშის „ოქროს დარბაზში“ შემოდის ნ. ს. ხრუშჩოვი. საბჭოთა მთავრობის მეთაურთან და მის მეუღლესთან ერთად აქ მოვიდნენ ნ. ს. ხრუშჩოვის თანმხლები პირნი.

„ოქროს დარბაზში“ არიან შვეციის პრემიერ-მინისტრი ტაგე ერლანდერი, შვეციის მთავრობის წევრები, რიკსდაგის დეპუტატები, ქალაქის ხელისუფალთა წარმომადგენლები, მთელ რიგ პოლიტიკურ პარტიათა ლიდერები, მათ შორის შვეციის კომპარტიის თავმჯდომარე კ. ჰ. პერშანსონი, თვალსაჩინო საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეები, უცხოელი დიპლომატები, შვეციის დიდ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, საქმიანი წრეების წარმომადგენლები, კულტურის მოღვაწეები, პროფკავშირთა, შვეციისა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

ქალაქის რწმუნებულთა საბჭოს თავმჯდომარე კ. ა. ანდერსონი მიესალმა საბჭოთა მთავრობის მეთაურსა და მის თანმხლებ პირებს.

როგორც ქალაქ სტოკჰოლმის წარმომადგენელმა, ამბობს იგი, პატივი მაქვს თქვენ, ნიკიტა სერგის ძეს, და თქვენს მეუღლეს, აგრეთვე ყველა მოპატიჟებულ სტუმარს მოგესალმოთ შვედური სიტყვით „ველკომენ!“ — „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“. იმედი მაქვს, რომ თქვენი ვიზიტი, ბატონო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეც, ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის, აგრეთვე ჩვენი დედაქალაქების — მოსკოვისა და სტოკჰოლმის ურთიერთობის განმტკიცებას. ამ იმედით ვიღებ ხელში ბოყალს და ვსვამ თქვენს სადღეგრძელოს!

კ. ა. ანდერსონმა, რომელმაც სიტყვა რუსულ ენაზე წარმოთქვა, შესვა ნ. ს. ხრუშჩოვის, მისი მეუღლისა და საბჭოთა მთავრობის მეთაურის თანმხლებ პირთა სადღეგრძელო.

ნიკიტა სერგის ძე პირველ ორატორთან და მადლობა გადაუხადა გულთბილი მისალმების სიტყვებისთვის.

შემდეგ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელსაც დამსწრენი ტაშით შეხვდნენ.

საბჭოთა მთავრობის მეთაურის გამოსვლა დამსწრეებმა უდიდესი ყურადღებითა და ინტერესით მოისმინეს. დარბაზში არაერთგზის გაისმა ტაში. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა ტრანსლირებული იყო შვეციის რადიოთი და ტელევიზიით, აგრეთვე გადაიცა „ევროზიის“ სისტემით.

ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად გამართულმა დარბაზობამ გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ᲒᲝᲗᲔᲑᲝᲠᲒᲘ. 24 ივნისი (საკდესის სპეც. კორ). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები, რომლებიც შვეციაში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებიან, დღეს დილით თვითმფრინავით ჩამოვიდნენ სტოკჰოლმიდან გეტებორგში, რომელიც შვეციის სიდიდით მეორე ქალაქი, უმნიშვნელოვანესი სავაჭრო ნავსადგური, დიდი სამრეწველო და კულტურული ცენტრია.

ᲒᲔᲢᲔᲑᲝᲠᲒᲘ. 24 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ნაშუადღეს აქ ჩამოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები. ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად გეტებორგში ჩამოვიდნენ შვეციის პრემიერ-მინისტრი ტ. ერლანდერი და იუსტიციის მინისტრი ჰ. კლინგი. აქ სტუმრები გაეცნენ გემთსაშენ „არენდალს“, რომელიც სამართლიანად ითვლება შვეციის გემთსაშენებელი მრეწველობის სიამაყედ. „არენდალი“ ერთ-ერთი გემთსაშენია, რომელიც ეკუთვნის შვეციის ცნობილ გემთსაშენებელ კონცერნ „ᲒᲔᲢᲐᲕᲔᲠᲙᲘᲜᲔᲚᲘᲡ“.

საბჭოთა მთავრობის მეთაურს შეხვდნენ „ᲒᲔᲢᲐᲕᲔᲠᲙᲘᲜᲔᲚᲘᲡ“ წარმომადგენლები — გამგეობის თავმჯდომარე ე. ლუნდი, განმკარგულებელი დირექტორი ჰ. ნილსენი და დირექტორი ნ. სიუსნონი. გემთშენებელი მუშები გულთბილად მიესალმნენ საბჭოთა მთავრობის მეთაურს.

საბჭოთა სტუმრებს გააცნეს გემთსაშენ „არენდალის“ მაკეტი. გემთსაშენის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია გემთმშენებლობის უახლესი ტექნოლოგიური პროცესი. ამ პროცესის ერთ-ერთმა ავტორმა ნ. სვენსონმა გამოიანგარიშა, რომ მსოფლიოს მეტწილ გემთსაშენებელ საწარმოებში იმ დროის 70 პროცენტი, რაც იხარჯება მასალების მომზადებისა და დამუშავებისათვის, ტრანსპორტირებას სჭირდება. გემთსაშენ „არენდალში“ ძირითადი საამქროები განლაგებულია უმოკლესი გზების სქემით, ტრანსპორტირება წარმოებს მაქსიმალური სიჩქარით და ისეთი მარშრუტებით, რომლებიც არ კვეთენ ერთმანეთს.

გემთსაშენის დაპროექტების დროს გაითვალისწინეს აგრეთვე, რომ ჩვეულებრივ, როცა მუშაობა გემის მშენებლობისათვის ღია ცის ქვეშ წარმოებს, სამუშაო დროის 25 პროცენტი იკარგება წვიმის, სიბნელის თუ სიცივის გამო. ამიტომ აქ გემებს სახურავის ქვეშ აშენებენ, ხოლო გემის მზა ნაწილი, დომკრატებით გადააქვთ დოკში.

„არენდალი“ საეკსპლოატაციოდ სულ ახლახან გადასცეს — 1963 წლის მაისში. აქ შეიძლება აშენონ გემები 150 ათას ტონამდე წყალწყვეტა. გემთსაშენი ფირმას დაუჯდა დაახლოებით 200 მილიონი კრონი. მაგრამ „ᲒᲔᲢᲐᲕᲔᲠᲙᲘᲜᲔᲚᲘᲡ“ ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ ეს ხარჯები სწრაფად ანაზღაურდება. საქმე ის არის, რომ ძველი ტიპის გემთსაშენში 40 ათასი ტონა წყალწყვეტის ტანკერის მშენებლობას სჭირდება დაახლოებით 40 კვირა. „არენდალში“ კი — ორჯერ ნაკლები.

გემთსაშენის მუშაობის ძირითადი პრინციპების გაცნობის შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები გეეცნენ საწარმოო პროცესს.

შემდეგ სტუმრები წავიდნენ გემთსაშენ „ᲒᲔᲢᲐᲕᲔᲠᲙᲘᲜᲔᲚᲘᲡ“, სადაც დაათვალიერეს ორი მცურავი დოკი, რომლებიც საბჭოთა კავშირის შეკვეთით შენდება. გარდა ამისა „ᲒᲔᲢᲐᲕᲔᲠᲙᲘᲜᲔᲚᲘᲡ“ ჩვენს ქვეყანასთან დადებული კონტრაქტით სსრ კავშირისათვის ააშენებს ექვს რეფრიჟერატორს.

როგორც გემთსაშენ „არენდალში“, ისე გემთსაშენ „ᲒᲔᲢᲐᲕᲔᲠᲙᲘᲜᲔᲚᲘᲡ“ მუშები უველგან ტაშით მიესალმებოდნენ ნიკიტა სერგის-ძეს, გამოხატავდნენ მის მიმართ სიმპათიასა და პატივისცემას.

გემთსაშენ „ᲒᲔᲢᲐᲕᲔᲠᲙᲘᲜᲔᲚᲘᲡ“ გაიმართა საზეიმო ცერემონია, რომლის დროსაც წყალში ჩაუშვეს ახალი რეფრიჟერატორული გემი, რომელიც აქ შენდება სსრ კავშირის შეკვეთით.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი, ნინო პეტრეს ასული ხრუშჩოვა, ტაგე ერლანდერი, გემთსაშენის ხელმძღვანელები და ნ. ს. ხრუშჩოვის თანმხლები პირები ქარხნის მოედანზე შეკრებილ მუშათა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა ტაშის გრიალში ადიან სპეციალურად ალმართულ ტრიბუნაზე.

საბჭოთა კავშირისათვის აშენებული ახალი გემის წყალში ჩაშვების ცერემონიას ესწრებოდნენ ქარხნის მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და გემთსაშენის მუშაობის ვეტერანები. ამ ცერემონიას ესწრებოდა ნ. ს. ხრუშჩოვი ოჯახის წევრთან ერთად. ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად ჩამოვიდნენ ᲨᲕᲔᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ Ტ. ᲔᲠᲚᲐᲜᲓᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ Ჰ. ᲙᲚᲘᲜᲒᲘ. ᲐᲥ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ ᲒᲔᲒᲔᲑᲝᲓᲜᲔᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲔᲡᲬᲠᲝᲜᲔᲑᲝᲓᲜᲔᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲡᲐᲚᲛᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲛᲞᲚᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲘᲠᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ — „ᲐᲠᲔᲜᲓᲐᲚᲘ“ ᲓᲐ „ᲒᲔᲢᲐᲕᲔᲠᲙᲘᲜᲔᲚᲘ“.

ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲕᲘᲦᲝᲗ 12 ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲔᲨᲘ!

ᲞᲔᲥᲢᲐᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠᲔᲑᲘ

ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ



რუისთავი უკან მოვიტოვეთ. რუისბოლოსკენ ავიღეთ გეზი. მანქანა გაშლილ მინდვრებზე გავიდა. მზე მთელი ძალით აცხუნებს. სწორედ ეს უხდება თავთავდამძიმებულ ოქროსფერ ყანებს. პურეული დამწიფდა. გამრჯე კაცს ამ დროს შინ რა გააჩერებს. დიდი და პატარა მინდვრებშია გამოსული. საითაც გაიხედავთ, „მინდვრის ხომალდები“ გუგუნებენ.

— რუისბოლოც ეს არის. ასე ჰქვია ამ ადგილს, — თქვა გარდაბნის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. მირიანაშვილმა. აქ გაშლილ ყანებს ბოლო არ უჩანს.

— ათას შვიდას ჰექტარზე მეტი პურეული აქვს მოსამკელი რუისბოლოს საბჭოთა მეურნეობას, — გვითხრა დირექტორმა გ. დევდარიანმა. ეს-ეს არის ქერის მკას მოვრჩით და საშუალოდ ჰექტარზე 21 ცენტნერზე მეტი გავლენეთ. ჩვენი იმედი ხორბალია. გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ საშუალოდ ჰექტარზე 25-30 ცენტნერს გაასწორებს განალეწი.

შეუფერხებლად ამუშავებს თვითმავალ კომბაინს მიხეილ რუდენკო, რომელიც ყოველდღიურად მკის 10-12 ჰექტარს ნაცვლად 8 ჰექტარისა. მას როი ჩამორჩება ჯამალადინ ოსმან ოღლი. აქაურ მექანიზატორებს გადაწყვეტილი აქვთ ხორბლის აღება თორმეტ სამუშაო დღეში დაამთავრონ და სახელმწიფოს 700 ტონაზე მეტი ხორბალი მიჰყიდონ.

სამგორის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი მამედ ხიალოვი კომბაინებთან შეგვხვდა. მან მარჯვენა შეუქო კომბაინერებს ანავას ისმაილოვს, ალადინ მუსტაფაევს, ალიხან ნასიბოვს და სხვებს. მათ მოსავალი ათ სამუშაო დღეში უნდა მომკან. ჯერჯერობით ყოველ ჰექტარზე ქერის განალეწი 22 ცენტნერს აჭარბებს, ხორბლისა კი 25 ცენტნერს.

გაშლილ მინდვრებზე ოთხი კომბაინი მუშაობდა. მომკილ ნაკვეთებს გასუფთავება არც კი სჭირდება. ეს იმიტომ, რომ თელეთელი კომბაინერები პურეულს სულ დაბლა ჭრიან და ამით პირუტყვის საკვებსაც ზრდიან.

ორიოდე წელია, რაც მტკვარი თელეთში მივიდა, გვალვისაგან გადამწვარი მინდვრები გააცოცხლა. რწყვა და ჰერბიციდები, მექანიზაცია ფართოდ დაინერგა ამ მეურნეობაში. პირველი წარმატება შარშან იზეიმეს. წელს როგორ არის საქმე?

ამ კითხვაზე მეურნეობის დირექტორმა გ. დალაქიშვილმა თქვა: თელეთელებს ოცნება შეუსრულდათ. მათი მიწები დამორჩილებულია. შრომის ნაყოფიც ჩინებულია. 1.700 ჰექტარი პურეული გვაქვს. ქერის განალეწმა ჰექტარზე 25 ცენტნერს მიაღწია, შარშან 20 ცენტნერი იყო. ხორბლის მოსავალსაც არ ვემდურით: ჰექტარზე 20-25 ცენტნერს ვიღებთ. დირექტორმა გვიჩვენა 130 ჰექტარი ნაკვეთი. აქ დათესილია „უფხო-1“. ზღვისავით ღელავს სქელი, მსვილთავთავიანი ყანა. ამ ჯიშისა და ჰერბიციდების სიკეთე ნათლად ჩანს: ჰექტარზე 35 ცენტნერს გალეწავენ...

ვრცელი მინდვრების შუაგულში ორი კომბაინი მიაპობდა ყანებს. დღის ორი საათი იყო. ისე ცხელოდა, რომ სუნთქვაც უჭირდათ მეტი მარცვლისათვის მებრძოლ ადამიანებს. მზით გარუჯული ბიჭები ძარღვიანი ხელებით ჩასჭიდებოდნენ კომბაინის საჭეს და თეთრ-ჭრელი პირსახოცებით ხშირად იშშრალებდნენ ოფლს. ესენი იყვნენ გიორგი ჯამალაშვილი და შალვა ოღლიევი. მათ სახეებზე სიხარული იყო აღბეჭდილი. მოსავლის ხვავი გორებად იყრებოდა ბუნკერებიდან ავტომანქანებში და შემდეგ მექანიზებულ კალოზე. აქედან კი ოქროს მარცვლით ივსება ბეღლები...

— წელს გეგმით 1.500 ტონა მარცვლეული უნდა მივყიდოთ სახელმწიფოს, — ამბობს გ. დალაქიშვილი. — გადაწყვეტილი გვაქვს მივყიდოთ 1.700 ტონაზე მეტი და ისიც მთლიანად ხორბალი.

ეს თელეთელთა მორიგი გამარჯვება იქნება. თელეთელები თავადაღებული შრომის კარგ ნაყოფს იმკიან. ბევრგან ნაწვერალი ტრაქტორებმა გადაამაგეს, ხელსაყრელ ამინდს ხელიდან არ უშვებენ. ნაწვერალზე პირველი 150 ჰექტარი სიმინდი დათესეს. სულ ეს ნათესი 400 ჰექტარს გადაამეტებს.

მოსავლის აღების კარგი სტარტი აიღეს თელეთელებმა და ეჭვი არ არის, რომ ფინიშზე პირველნი მივლენ გამარჯვებულნი.

მინდვრებში განუწყვეტლივ გუგუნებენ კომბაინები. თელეთში ხვავი და ბარაქა მრავლდება.

Ნ. ᲯᲐᲜᲯᲦᲐᲕᲐ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ სპეც. კორ.
გარდაბნის რაიონი.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: თელეთის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე კომბაინერი გ. ჯამალაშვილი (ზემოთ), რომელმაც ყვარელი მექანიზატორის ზაალ სუხიაშვილის მიმართვის პასუხად ვალდებულება იკისრა მოსავალი აიღოს 12 სამუშაო დღეში. ქვემოთ — პურეულის მოსავლის აღება თელეთის საბჭოთა მეურნეობაში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲝ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲘᲜᲓᲝᲜᲔᲖᲘᲐᲨᲘ

ᲯᲐᲙᲐᲠᲢᲐ, 24 ივნისი. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, რომელიც სტუმრად იმყოფება ინდონეზიაში სსრ კავშირის მინიტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ი. მიკოიანის მეთაურობით, დღეს დაეწერა „გმირთა მონუმენტის“ გახსნის საზეიმო ცერემონია. ეს შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობა, რომელმაც დაამშვენა ინდონეზიის დედაქალაქი, საბჭოთა კავშირის ხალხებმა და მთავრობამ აჩუქეს მეგობარი ინდონეზიის ხალხსა და მთავრობას.

საპატიო სტუმართა მანქანების კორტეჟი მივიდა „მენტენგ პრომპაკანის“ მოედანზე, სადაც დადგმულია მონუმენტი. წინა მანქანიდან გადმოვიდნენ პრეზიდენტი სუკარნო და ა. ი. მიკოიანი. მოედანზე შეკრებილი ჯაკარტის ათასობით მცხოვრები მქუხარე ტაშით შეხვდა მათ.

მიკროფონთან სიტყვა წარმოთქვა ა. ი. მიკოიანმა.

დღეს იხსნება გმირთა მონუმენტი, თქვა მან, და ეს მოვლენა უდიდესი შინაარსით არის აღსავსე. ბრინჯაოსა და ქვის მონუმენტი წარმოსახავს ინდონეზიელი ერის გმირულ ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მის გამარჯვებას ბოროტებისა და ჩაგრის ძალებზე, კოლონიალიზმსა და იმპერიალიზმზე.

მონუმენტი სიმბოლურია. ეს ჭაბუკი და ეს ქალი მთელი ხალხის წარმომადგენლები არიან. მაგრამ სიმბოლურია ისიც, აღნიშნავს ა. ი. მიკოიანი, რომ ეს ქანდაკება შექმნილია ლენინგრადში — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ქალაქში, სადაც ლენინმა აღმართა მსოფლიოში ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის წინააღმდეგ, კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ყოველთვის ინდონეზიელი ხალხის მხარეზეა მის ბრძოლაში ყველა ფორმის კოლონიალიზმის წინააღმდეგ, თქვა მან.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა პრეზიდენტმა სუკარნომ.

საზეიმო ცერემონია დამთავრდა. ჟღერს ინდონეზიის რესპუბლიკის ჰიმნი. მოედანზე ქუხს ოვაცია.

მზის სხივებზე ელვარებს ინდონეზიელ პატრიოტთა — სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა მამაცობის დიდებული ბრინჯაოს ძეგლი — ინდონეზიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა სულ უფრო მტკიცე მეგობრობის სიმბოლო.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ

ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲕᲠᲐ ᲙᲣᲠᲘᲚᲘᲐᲖᲔ

ᲘᲣᲟᲜᲝ-ᲡᲐᲮᲐᲚᲘᲜᲡᲙᲘ, 23 ივნისი. (საკდესის კორ.). დღეს 4 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით სამხრეთ კურილის რაიონში მოხდა ძლიერი მიწისძვრა. ეპიცენტრში — მწვანე კუნძულზე მისი ძალა რვა ბალს უდრიდა, ხოლო შიკოტანის კუნძულზე იგრძნობოდა დაახლოებით ექვსი-შვიდი ბალი ძალის ბიძგები. უკანასკნელი ოცდაოთხი დღის მანძილზე ეს მეორე შემთხვევაა, როცა კურილის მთაგრეხილის ერთსა და იმავე რაიონში ხდება ასეთი სიმძლავრის მიწისძვრა. ჩვეულებრივ, მთელი წლის მანძილ

ხუროთმოძღვრება ახალ ეტაპზე

ქართული საბჭოთა არქიტექტურამ 43 წლის განვითარების მრავალ ფეროვანი და საინტერესო გზა განვლო. ეს გზა აღნიშნულია შემოქმედებითი ძიებით, რომელსაც, ბუნებრივია, თან სდევდა მიღწევებიც და ცალკეული შეცდომებიც. ახლახან, 60-იანი წლების დასაწყისში ჩაისახა ის ახალი მიმართულება, რომელიც დღეს საბჭოთა ხუროთმოძღვრების გენერალურ გეზად გადაიქცა. ქალაქმშენებლობის ახალი პროგრესული პრინციპები, თანამედროვე საშენი მასალები და კონსტრუქციები, განვითარებული სამშენებლო ინდუსტრია, რაციონალური დაგეგმარება, არქიტექტურული სახის სიმართლე და ლაკონიურობა ის საწყისებია, რომლებიც ძირითადად განაპირობებს თანამედროვე არქიტექტურის არსს, მის ფუნქციონალურ და ესთეტიკურ მხარეებს.

სიახლე ცხოვრებაში უცებ როდი მკვიდრდება, მით უმეტეს ხუროთმოძღვრებაში, სადაც იდეა რეალურ, მატერიალურ გამოსახულებაში — ქვასა და ბეტონში ვლინდება. ის ახალი, რაც 8-10 წლის წინათ ჩაისახა და მხოლოდ პროექტებში იყო ასახული, უკანასკნელი წლების განმავლობაში მატერიალურ რეალობად იქცა და ჩვენი ქალაქების არქიტექტურაში მკვიდრდება. დღეს ეყრება საფუძველი იმ კვარტალებს, ქუჩებსა და ნაგებობებს, სადაც უნდა იცხოვრონ და იშრომონ კომუნისტური საზოგადოების ადამიანებმა. ეს გარემოება მეტად პასუხსაგებ ამოცანებს აყენებს ჩვენი ხუროთმოძღვრების წინაშე, მით უმეტეს, რომ არქიტექტურაში, მშენებლობაში დაშვებული და რეინბეტონში დამკვიდრებული შეცდომა არცთუ ისე იოლი გამოსასწორებელია. არქიტექტურებისა და მშენებლების წინაშე დგას მკაფიო ამოცანა — მომავალი საზოგადოების რეალური, მატერიალური გარემოს შექმნა.

ქალაქთა დაგეგმარების ახალი პრინციპები მოითხოვს ტექნიკურ-ეკონომიური, სანიტარულ-ჰიგიენური და ესთეტიკური პრობლემების კომპლექსურ, მეცნიერულ საფუძვლებზე გადაწყვეტას. მართალია, იდრეც ჩვენი ქალაქები შენდებოდა წინასწარ დამუშავებული გენერალური გეგმების საფუძველზე, მაგრამ მტკიცე მეცნიერულ ბაზას მოკლებული გეგმები ზოგ შემთხვევაში პრაქტიკულად მეუფფერებელი აღმოჩნდა, ამან გამოიწვია მეცდომები ქალაქების განაშენიანებაში. მაგალითად, ზონირების იმ პრინციპების უგულებელყოფამ, რომლებსაც ემყარება რაიონის ყოველმხრივი განვითარება, ქალაქის ფარგლების დადგენა, სამრეწველო ობიექტების მიზანშეწონილი განლაგება და ა. შ. გამოიწვია ქალაქ რუსთავის სამრეწველო ზონის უსისტემო გაშენება. ეს აიხსნება სამრეწველო ტერიტორიის არარაციონალური დაგეგმარებითა და მრავალ დამბმარე საწარმოთა დუბლირებით. რუსთავის განვითარების ახლად შედგენილი სქემა, რომელიც განხილული იყო საქართველოს არქიტექტორთა კავშირში, ბევრად აუმჯობესებს არსებულ მდგომარეობას, თუმცა ამ სქემასაც ჯერ კიდევ ესაჭიროება კორექტივები.

მაღლიანი ბუნებით დაჯილდოებული საქართველო კურორტების ქვეყანაა. გაშენდა და შენდება მრავალი კომფორტულად მოწყობილი დასასვენებელი ცენტრი. 1980 წლისთვის მხოლოდ შავი ზღვის სანაპიროზე ერთდროულად დაისვენებს 140.600 კაცი, ე. ი. კურორტების გაძტარიანობა თითქმის ხუთჯერ გაიზრდება.

1963 წლის მაისში სოხუმში საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ინიციატივით მოეწყო საკავშირო თათბირი საკურორტო. მშენებლობის საკითხებზე, ხოლო ამავე წლის შემოდგომაზე ქ. ბათუმში საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გასვლითს პლენუმზე განხილულ იქნა აჭარის კურორტების მშენებლობის ამოცანები. ამ თათბირზე და პლენუმის სხდომებზე მსჯელობისას სპეციალისტებმა გამოავლინეს მთელი რიგი ხარვეზები, რომლებიც ხელს უშლიდნენ და დღესაც უშლიან ხელს დასვენებისა და სამკურნალო ზონების სწორ ორგანიზაციას, სახსრების ეფექტურად და ეკონომიურად გამოყენებას.

ტიპურმა სახლებმა, რომლებითაც განაშენიანებულია ჩვენი მესვეები, თავის დროზე დადებითი როლი შეასრულეს და საშუალება მოგვცეს მოკლე დროში რადიკალურად გავეუმჯობესებინა მოსახლეობის საბინაო პირობები. მაგრამ ისინი კარგა ხანია ვეღარ აკმაყოფილებენ გაზრდილ მოთხოვნილებებს, ამორტიზებული არიან ტექნიკურად და მორალურად. ამის შესახებ უკვე რამდენიმე წელიწადია ბეჭდავ, მაგრამ ახალი ტიპური პროექტი ჯერ მაინც არა გვაქვს.

საკითხი ეხება არა მარტო საცხოვრებელი სექციის გაუმჯობესებას, არამედ ახალი, ხარისხობრივად განსხვავებული პროექტის შედგენას. ჩანს საჭიროა ნორმატული მონაცემების გადასინჯვაც როგორც საცხოვრებელი ფართობის, ისე ჭერის სიმაღლის გაზრდისაკენ. არაერთხელ გამოითქვა აზრი, რომ ტიპური პროექტი უნდა მტკიცდებოდეს მხოლოდ მისი განხორციელებისა და ექსპლოატაციის შემდეგ. ეს იმას ნიშნავს, რომ დღეს უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე საჭიროა დავაჩქაროთ საექსპერიმენტო პროექტირებისა და მშენებლობის განხორციელება. მხოლოდ ამ გზით მიეცემათ საშუალება არქიტექტორებსა და მშენებლებს შექმნან სრულყოფილი საცხოვრებელი სახლები.

ყოველი ქალაქის განაშენიანებისას გასაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მისი ოპტიმალური საზღვრების დადგენას. ეს პრობლემა დგას თბილისის გენერალური გეგმის შემდგენელთა წინაშეც. საჭიროა მეტად ეფექტური ღონისძიებათა გამონახვა იმისათვის, რომ არ მოიშალოს საზღვრები თბილისსა და მცხეთას, თბილისსა და რუსთავს შორის და ამით საქართველოს დედაქალაქმა არ მიიღოს ჰიპერტროფირებული ზომები.

მეტად აქტუალური საკითხია ქალაქის უკვე ჩამოყალიბებული და ჭელი რაიონების ნაწილობრივი ან მთლიანი რეკონსტრუქციის პრობლემა. თუ დღემდე ეს პრობლემა იმდენად აქტუალური არ იყო, როგორც ახლა, ეს იმიტომ, რომ საბინაო მშენებლობის მაქსიმალურად გაფართოების ამოცანას, რასაკვირველია, თავისუფალი ტერიტორიების ათვისება უფრო შეეფერებოდა. მაგრამ ახლა უკვე სხვაგვარად დგას საკითხი. საქმე ის არის, რომ თბილისს მეტად სპეციფიკური ბუნებრივი პირობები აქვს, რაც ქალაქს, ძირითადად, მტკვრის გასწვრივ განვითარების საშუალებას აძლევს. ეს გარემოება და დედაქალაქის ძველი უბნების დაგეგმარება, აგრეთვე სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების აუცილებლობა დღის წესრიგში აყენებს ქალაქის ძველი უბნების რეკონსტრუქციის საკითხს.

„თბილქალაქპროექტში" უკვე დამუშავებულია და ახლაც მუშავდება თბილისის ცალკეული უბნების და ჭუჭების რეკონსტრუქციის პროექტებს. პროექტებში გათვალისწინებულია დედაქალაქის გარდაქმნის მეტად საინტერესო წიხადადებები.

სოციალისტური არქიტექტურის სტილის შექმნა გარკვეულ დროს მოითხოვს. ახლა ეგრეთწოდებული „ტრადიციული" არქიტექტურის მიმდევარნიც ვერ იტყვიან ჭეშმარიტ თანამედროვე ფორმებით აგებულ შენობებზე. თბილისის ქუჩებზე განხდა ახალი კაფეები, რესტორანები, სასტუმროები, რომელნიც ახალი არქიტექტურის დანერგვის მეტად სასიხარულო ახალგზდებია.

არქიტექტურის ახალი ფორმების დანერგვა მეტად მაღალ მოთხოვნებს უყენებს მშენებლებს. ჩვენ ეარგუყავით კლასიკური არქიტექტურის მრავალი ელემენტი, რომლებმაც ახალი კონსტრუქციების და მასალის გამოყენებისას ლოგიკური და მხატვრული მიზანდასახულობა დაკარგეს. მაგრამ თუ ადრე კედლის სიბრტყის ულაზათო დამუშავება გადამეტებული ორნამენტაციის ხარჯზე შეუმჩნეველი იყო, დღეს შენობის უხარისხოდ აღმართული კედელი, ცხადია, სახელს გაუტეხს არქიტექტურულ სიახლეს.

თანამედროვე შენობის შიდა სივრცის, ე. წ. ინტერიერის მოხდენილობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი ქსოვილების, მკაფიო ფერების, მოხდენილი ავეჯის გამოყენებას. ჩვენს რესპუბლიკაში გადადგმულია პირველი ნაბიჯები იმისათვის, რომ აილაგმოს ტლანქი ავეჯი, მძიმე არმატურა, მოსაპირკეთებელი მასალის, ფარდაგებისა და მსგავსთანთა დაბალი ხარისხი, უგემოვნო ფაქტორა. ამ ამოცანის გადასაჭრელად არის მოწოდებული საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო საბჭოსთან შექმნილი სამხატვრო-საკონსტრუქტორო ბიურო, რომელიც დაკომპლექტებული მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით.

საქართველოს არქიტექტორების წინაშე მრავალი პასუხსაგები და საპატიო ამოცანა დგას. ჩვენი არქიტექტორების მაღალი შემოქმედებითი სულისკვეთება იმის საწინდარია, რომ ეს ამოცანები ღირსეულად იქნება შესრულებული.

თ. კვირკველია,
საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი, არქიტექტურის კანდიდატი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივ კომისიაში

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის სხდომა.

კომისიის სხდომამ განიხილა ორი საკითხი: 1. წყალტუბოს, გორისა და გარდაბნის კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მცენარეთა დაცვის მდგომარეობა.

2. ახალქალაქის, დუშეთის, თეთრი წყაროს, საგარეჯოს, მაიაკოვსკის, თელავისა და ზესტაფონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის ქიმიზაციის ღონისძიებათა განხორციელების მდგომარეობა.

ორივე საკითხზე ინფორმაცია გააკეთა დეპუტატმა ნ. ხომიზურაშვილმა.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა [illegible], ჩაველმა და ლ. არსენიშვილმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს მეცნარეთა დაცვის სამმართველოს უფროსმა გ. ბილანიშვილმა, აჭარის სამინისტროს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველოს უფროსმა გ. რუხაიამ.

კომისიის დადგენილებით შემოწმების მასალები გადაეგზავნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას" და რჩევა მიეცათ განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი მცენარეთა დაცვის და მეცხოველეობის ქიმიზაციის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. (საქდესი).

ერთმის ფიგნალი — საბჭოთა მეურნეობის თვითეულ მუშაკს

საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი „საბჭოთა მეურნეობებში შრომის წიგნაკების შემოღების წესების დარღვევის შესახებ". როგორც შემოწმებით გამოირკვა, შრომის წიგნაკები არა აქვს მეურნეობების მუშებისა და მოსამსახურეების დაახლოებით ერთ მეოთხედს. სხდომაზე აღინიშნა აგრეთვე, რომ იშვიათი როდია ამ დოკუმენტებში ჩაწერის სიზუსტის, მათი გაცემისა და შენახვის წესების დარღვევა. ეს იწვევს იმას, რომ „საბჭოთა მეურნეობებში მომუშავეთა მეტი წილი, როდესაც მიმართავს სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებს პენსიის დანიშვნისათვის სიძნელეს განიცდის.

საყოფაცხოვრებო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების რესპუბლიკური სამინისტროები, სამხარეო და საოლქო სამმართველოები, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობრივ-კოლმეურნეობრივი (კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისა) საწარმოო სამმართველოები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ იმას, თუ როგორ აწარმოებენ მეურნეობებში შრომის წიგნაკებს. ხოლო პროფკავშირთა სასოფლო სამხარეო და საოლქო საბჭოები თვალყურს არ ადევნებენ ამას.

საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა პროფკავშირთა რესპუბლიკურ, სასოფლო სამხარეო და საოლქო საბჭოებს, სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური, სამხარეო და საოლქო კომიტეტებს 1964 წლის ოქტომბრამდე მოაწყონ ყველა საბჭოთა მეურნეობაში შრომის წიგნაკების წარმოების შემოწმება. ეს მუშაობა უნდა განხორციელდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ორგანოებთან ერთად. შემოწმების შედეგად საჭიროა იმის მიღწევა, რომ შრომის წიგნაკები შეუვსონ ყველა მუშას და მოსამსახურეს.

საჭიროა სისტემატური კონტროლის გაწევა, თუ რამდენად დროულად და სწორად იკეთებ შრომის წიგნაკები. ეს ვალდებულება ეკისრებათ საწარმოო სამმართველოების პროფკავშირულ კომიტეტებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობა კომიტეტებს. (საკდესი).

საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმში

დეპუტატის თაოსნობა

ქუთაისი. (საკ. კორ.). ცნობილი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა წარგზავნილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

დეპუტატის თაოსნობითა და მეცადინეობით მომზადდა და პირველად აქ, ქუთაისში, განხორციელდა დიდი სამეცნიერო-სასწავლო ღონისძიება — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გაერთიანებული სამეცნიერო სესია.

სამეცნიერო სესია შესავალი სიტყვით გახსნა ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ვლ. ფანჩვიძემ. პირველად მოსმენილ იქნა აკადემიკოს არნ. ჩიქობავას ფრიად საინტერესო მოხსენება: „ჰეგო შუხარდტი, როგორც ქართველოლოგი". სესიად მოისმინა აგრეთვე აკადემიკოს ვარლამ თოფურიას, პროფესორების თ. შარაძენიის, შ. გაფრინდაშვილის, დოცენტების ი. გიგინეიშვილის, რ. ღამბაშიძის და ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკების მოხსენებები ენათმეცნიერების ცალკეულ საკითხებზე.

გაერთიანებული სამეცნიერო სესიის მუშაობამ ორ დღეს გასტანა.

ვაქკაცი მთაში გაზრდილი

დღეგი და ადამიანები

ირგვლივ ღამის სიბნელე იდგა. ცაზე არც მთვარე ჩანდა, არც ვარსკვლავები. ულაყმა იძალა, რაყიანში ნაპერწკლები დაიკვეთა და მთის ბილიკს მიბყვა ჭენებ-ჭენებით. მხედარს არ შეეძლო დაენახა კლდის ქიმი, რომელსაც ასე სწრაფად უახლოვდებოდა.

კლდეს რომ დაეჯახა, გული შეუღონდა. გამწარებულმა თვითონვე გამოაძრო უნაგირი გაჯედილი მოტეხილი ფეხი, მერე როგორც იქნა ანთრია და ნელ-ნელა ძირს დაეშვა, იმ წამიდან აღარაფერი ახსოვს. ცხენი კი ფლოქვებით მიწას თხრიდა, ჭიხვინებდა, საშველად უხმობდა ადამიანებს.

მას შემდეგ ოდნავ კოჭლობს ცნობილი მწყემსი სიმონ კედელაშვილი. ამას წინათ მას სტანიცა ვოზნესენსკაიასთან მდებარე მაღლობზე შეეხვდით. საღამო იყო. მგზავრობით დაღლილი მეცხვარეები შორიდან უმზერდნენ მშობლიურ მთებს, ძალაუნებურად ნაბიჯიც მატულობდა. საოცარია, ცხვარი არც თუ ისე გონიერი პირუტყვია და ისიც კი ჩქარობდა. ალბათ პირუტყვიც გრძნობს მწვანე ფერდობების სიახლოვეს.

ფარამ მინდორზე გადაუხვია, ძაღლები კი გზაზე ავტომანქანებს უტეხდნენ. სიმონმა ახალგაზრდა მწყემსს ვალიკო ქავთარაძეს გასძახა:

— ბიჭო, ლეკვები არ გაუშვა, ჯერ ბრიყვები არიან, შესაძლოა მანქანის ქვეშ მოყვნენ.

მერე კედელაშვილმა გაიღიმა და მთიულური კილოთი გვითხრა:

— კარგად ვარ. რაც შეიძლება ნელა მოვდივართ, მაგრამ მაინც დავიღალეთო.

— ნადირმა ან ქარიშხალმა ხომ არ შეგაწუხათ?

— არა, კაცო, რაის ნადირი, რაის ქარიშხალი, მხოლოდ წვიმებმა დაგვაღონა ცოტა.

ასეი ყოველთვის, რამდენჯერ მოვიწადინე სიმონის შესახებ ნარკვევის დაწერა, მაგრამ ვერ მოვახერხე. როგორც კი ამ მაღალი ტანის შავგვრემან ვაქკაცს შეეხვდები ვცდილობ რაიმე გმირული და არაჩვეულებრივი ვიპოვნო მის ცხოვრებაში. იგი კი ტკბილად იღიმება:

— რაის გმირული, რომელი ბაყაოთარი მე მნახე, ძმაო.

ბოლოს თვითონ მივხვდი, რომ „ტუუილად ვეძებ ასეთ ეპიზოდებს სიმონის ცხოვრებაში, მთელი მისი შრომა ნამდვილად გმირობისა და სიმამაცის მაგალითია.

მინდორზე დავსხედით, საუბარი განვაგრძეთ. როგორც იყო, სიმონმა მიამბო თავისი თავგადასავალი:

— მამაჩემიც მეცხვარე იყო. ვცხოვრობდით არაგვის ხეობაში ჭართლის მთებზე. ცხრა და-ძმანი კიყავით. ყველანი ერთმა უშვილო დედაკაცმა მოგვნათლა. ნათლიამ თვითეულ ჩვენგანს თითო ცხვარი აჩუქა. ის ცხვრები ყიზლარში წაიყვანეს. გადიოდა წლები, მატულობდა საძმო ფარა. საბოლოოდ, როცა გავიყარენით, ათას ოთხასზე მეტი ცხვარი გვკუთვნდა. მაგრამ იმავე წელს დავზარალდით, არცერთი არ შეგვრჩენია. მამაჩემი ჯავრით დასნეულდა და სიღატაკეში მოკვდა, უფროსი ძმა არაგვმა დაახრჩო, მომდევნო ძმა ცხვარში წავიდა, დადგა ჩემი ჯერიც. ჩვიდმეტი წლისა ვიყავი, როცა დედას გამოვეთხოვე და ბიძაშვილთან ერთად ბიდარა გადავლახე. მას შემდეგ ორმოცი წელი გავიდა, ბევრმა წყალმა ჩაიარა, საცაა სამოცისა გავხდები, მაგრამ ცხვარში ყოფნა ჯერ არ მამწყენია.

— რაც არ უნდა თქვა, მწყემსობა მაინც ძნელი საქმეა, არა?

საპასუხოდ სიმონმა ხალხური გაიხსენა:

— ბევრი უხდია ნაბადსა ავი დარი და დარია. რა თქმა უნდა, ძნელია ზამთარ-ზაფხულ კლდე-ღრეს და ტრამალებში ხეტიალი. ამას წინათ კინოსურათი გვაჩვენეს — „თეთრი ქარავანი". გული დამწყდა, როცა გავიგონე, თითქოს ამ ტრაილ მინდვრებში თითო ოჯახი კიდევ გვაყავს დამატებით. სინამდვილეში ოჯახი გვენატრება, ზოგჯერ საკუთარი ბავშვებიც კი ვერ გვცნობენ...

— რამდენი კილომეტრია ნოღაეთიდან ჭართლამდე?

— ხუთასზე მეტი, — თქვა სიმონმა და ხუმრობით დასძინა:

— ნაბიჯ-ნაბიჯ მაქვს დათვლილი.

გამოდის, რომ ორმოცი წლის განმავლობაში ამ გზაზე ოთხმოცჯერ ფეხით გაუვლია სიმონ კედელაშვილს. ეს კი ორმოცე ათას კილომეტრს შეადგენს. ამ წლების მანძილზე სიმონი დაახლოებით ოცი ათას ცხვარს ადოლებდა. იგი ხომ შესანიშნავი მცნობარია, ათას ცხვარში ერთბაშად უპოვნის ბატკანს თავის დედას. სიმონის მოღებული ბატკნებისაგან ოცი დიდი ფარა გამოვიდოდა.

ახლა იანგარიშეთ მატული. წელიწადში თვითეული ცხვარი სამ კილოგრამზე მეტ მატყლს იძლევა, ოცი ათასი სამზე რომ გავამრავლოთ მივხვდებით, რომ კედელაშვილს ქვეყნისათვის სამოც ათასზე მეტი საკოსტიუმე მიუცია.

ეს ჩვენ გვიკვირს, თორემ სიმონს არა. საუბარში მან გაიხსენა, თუ რა ბრძოლა უხდებათ ზოგჯერ ნადირთან.

— ერთხელ სალაღის მთაში ვიყავი. ქალაქიდან დიდი ხნის უნახავი ნათესავი ამომივიდა, ცეცხლი გავაჩაღეთ, მწვადები შეწვეთო, თითო ჭიქა დავლიეთ, მაგრამ ვინ გაცალა ქეიფი. იმ დამეს სამჯერ დაგვეცა მგლის ხრო, გაიტაცეს ბატკნები, მაგრამ ძალლებმა გააგდებინეს, მთელი ღამე თეთრად გავათენეთ. დაიტანჯა სტუმარი. ისე გავისტუმრე. ბეირიანად ვერც კი ვეპაუბრე, დამემშვიდობა და მითხრა: — ღმერთმა შეგაძლებინოს აქ ყოფნა, მილიონი რომ მომცენ, ცხვარში ვერ გავძლებ.

— არწივის ამბავი გვითხარი, სიმონ,

— თქვა ტატო კედელაშვილმა, რომელიც მას ბიძაშვილი ეკუთვნის.

...მწვერვალიდან აფრენილმა არწივმა ფრთები გაშალა და ცის ტატნობზე გაიბანავრდა. ფრინველთა მეფე უახლოვდებოდა სიმონის ფარას. ბატკანმა იგრძნო უბედურება და ბურთივით შეიკრა, მწყემსი გამოუცდელი არ იყო, მაგრამ მის გულს მაინც დაგაღუგი გაუდიოდა, არწივი გახროლილ ქვასავით დაეცხრა ფარას და ბატკანი ასხლიტა. სიმონი ჯოხს იქნევდა გამწარებით, ყვიროდა, არწივს აფრთხობდა. იცოდა, რომ არწივები ცხვარს აფრთხობენ, რათა ბატკანი ქლდეზე გადაიჩეხოს, მერე თვითონ იცის ფრინველთა მეფემ.

როგორც იქნა არწივი გაფრინდა, ფარა კვლავ გაიშალა, მაგრამ დიდი ხანი არ გასულა, რომ კვლავ ქვასავით დაეშვა. სიმონმა ახლაც ვაუკაცურად შეუტია არწივს. ასე ებრძოდნენ კაცი და ფრინველი ერთმანეთს. ბოლოს კაცმა სძლია.

არწივთან ბრძოლის ამბავი ახალგაზრდებს უკვირთ. სიმონი კი ამას არად აგდებს.

— ახლა შენი ამბავი მოპყეეი, ტატო,

— თქვა კედელაშვილმა.

— მე რომელი არწივთან მეომარი მნახე.

— ქეიფი ხომ გიყვარს?

ტატო კედელაშვილმა დაიმორცხვა. ამხანაგები ხუმრობით აკრიტიკებენ: ჩავა თუ არა სახლში, ჩექმებსა და გალიფეს ჩაიცვამს, ოჭროსფერ კრაველის ქუდს გვერდზე მოიგდებს, ბეჭებზე ყვითელ ტყავის მოკლე პალტოს მოიხურავს, დადის, ქეიფობს, დროს ატარებს.

მერე ვიღაცამ დაუმატა:

— ღირსია და ქეიფობს კიდეც, მაგაზე შეეფოდგომაზე დაიძვრის ხოლმე ჩვენი ცხვარი მშობლიური მთებისაკენ ან პირიქით — ნოღაეთის ტრამალებისაკენ. ასე იყო წელსაც. მაისის შუა რიცხვებში ამწვანებულ მთებს დაუბრუნდა რვაას ათასზე მეტი ცხვარი და ასობით მწყემსი.

ცხვრის თეთრი მდინარე მოედინებოდა ჩრდილოეთ კავკასიის მწვანე მინდვრებსა და დარიალის კლდოვან ვიწროებში, თეთრი ტალღები გადადიოდა ჭვრის ულელტეხილზე და ხელ-ხელა იღვრებოდა არაგვის, ქსნისა და ივრის ხეობებში. მოდიოდნენ ყაზბეგელი, დუშელი, ლენინგორელი, თიანეთელი, ჭაველი მწყემსები და მათი ფარები.

მათ შორის იყვნენ სიმონ და ტატო კედელაშვილიანი.

ძლივს ვიცანით მტვერდადებული და წვერმოშვებული მწყემსები, რომლებიც ვაუკაცურად იტანენ პაპანაქებას. ჩვეულებრივი სიდინჯით მიჩაჩაქებდნენ სახედრები ფარის შუაგულში.

— გზაში ბატკნები ხომ არ შეგემატათ? — შეეკითხე სიმონს.

— ერთი-ორი გვყავს, ალიკუოში დაიბადა.

— როდისღა გაიარა?

— იმ დღესვე; ცოტა დაიღალა და ახლა ოთხთვალაში ზის, სამაგიეროდ ტატოს ფარაში ექვსი ბატკანი გაჩნდა.

მერე მწყემსებმა გვიამბეს: წლევანდელი ზამთარი მართლაც რომ მძიმე და ხანგრძლივი იყო, მაგრამ გაუძლეს უამინდობას, თივა ბევრი ჰქონდათ და კომბინირებული საკვები. კარგად ჩაიარა დოლმა, შეინარჩუნეს ნამატი და უდანაკარგოდ ბრუნდებიან სახლში.

ახლა მთავარია დროზე გადავრეკოთ ფარები იალაღებზე. აქედანვე ვიზრუნოთ ზამთრისათვის. ნოღაეთში, განსაკუთრებით ზღვის ნაპირებზე უკვე შემოვიდა ბალახი. საჭიროა დროზე გავთიბოთ და დავამზადოთ ათასობით ცენტნერი თივა. მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ თივის მთელი მარაგი ნოღაეთში უკვე ამოიწურა, არც ცხვრისა და მწყემსის ბინები უნდა დავივიწყოთ, თორემ სირცხვილი იქნება.

ტაბილ საუბარში ვიყავით, როცა გზაზე მოტოციკლეტმა გაიარა. ლეკვები კვლავ ეეფთი გაეკიდნენ. ლეკვის წკავწკავზე სიმონი წამოტხა:

— ვაიმე, გაიტანა ბიჭო?

ამ სიტყვებში საყვედურიც იყო და სიბრალულიც. მხოლოდ მწყემსს შეუძლია ასე ძლიერად უყვარდეს პირუტყვი.

ჩვენი გზები გაიყარა. კედელაშვილებს ღამე ცხვრის დასასვენებელ მოედანზე უნდა გაეთიათ, ჩვენ კი იშჩორსკაიაში უნდა წავსულიყავით. მივდიოდი და ვფიქრობდი შესანიშნავ მეცხვარეზე, საქართველოს პარლამენტის ღირსეულ წევრზე სიმონ კედელაშვილზე, რომელიც მხნედ მოაბიჯებდა მშობლიური მთებისაკენ.

წინ იდგნენ კავკასიონის თეთრი გოლიათები. ზურგს უკან დარჩა სიმონისა და მისი მეგობრების მიერ გავლილი ასობით კილომეტრი.

ა. თოიშაძე.

ივნისი, ორკონიკიძე.

რედაქციაში შემოვიდა საჩივარი

თვითნებობა უფროსი და არეული გრძანებანი...

„...ვმუშაობდი „ჭიათურგაზნის" კანტორაში ბუხჰალტრის თანამდებობაზე. 1963 წლის ნოემბრამდე ვიმყოფებოდი დეკრეტულ შვებულებაში, შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ კი კანტორის უფროსმა სამუშაოზე აღარ დამიშვა, მომხსნა, როგორც ამ თანამდებობისათვის შეუფერებელი, მაშინ როცა დაბრუნების შემდეგ სამუშაო არ ჩამიბარებია, არ მიმუშავია. გთხოვთ დამეხმაროთ.

ნ. ბ. გაფრინდაშვილი".

ნაზი გერასიმეს ასული გაფრინდაშვილის განცხადება რედაქციამ ადგილზე შეამოწმა და გამოირკვა: აეტორმა თბილისის საღორეცხვო ტექნიკუმი დამთავრა და ათი წელია შრომითს საქმიანობას ეწევა. 1960 წლიდან „ჭიათურგაზნის" კანტორაში ბუხჰალტრად მუშაობდა.

ცოდნასა და ძალღონეს არ იშურებდა. კანტორის ხელმძღვანელობაც არ ემდუროდა. არც ერთი მითითება ან გაფრთხილება არ მიუღია. პირიქით, გასული წლის რვა მარტთან დაკავშირებით კანტორის უფროსის ჯ. კობახიძის ბრძანებით ნ. გაფრინდაშვილი კარგი მუშაობისათვის 30 მანეთით არის დაჯილდოებული.

1963 წლის 2 მარტს ნ. გაფრინდაშვილი დეკრეტულ შვებულებაში წავიდა და მის ადგილზე დროებით ნინო მეტონიძე დაინიშნა. ბუხჰალტერ ნ. გაფრინდაშვილს საავადმყოფო ფურცელი 10 ოქტომბერს დაუთავრდა და სამუშაოზე გამოცხადდა. კანტორის უფროსმა ჯ. კობახიძემ მას ალმაცერად შეხედა, აგრძნობინა, რომ სამუშაოზე აღარ დაიბრუნებდა.

როცა ნ. გაფრინდაშვილმა თავისი სამუშაო კატეგორიულად მოითხოვა, ჯ. კობახიძემ 12 ოქტომბერს დაწერა ბრძანება: „აღდგენილ იქნას სამუშაოზე ნ. გ. გაფრინდაშვილი 10 ოქტომბრიდან და ამავე რიცხვიდან ირიცხოს სამუშაოზე გამოცხადებულად, რისთვისაც მიეცეს ყოვნილი ხელფასი". აქ საკითხავი: ნ. გაფრინდაშვილი როდის იყო სამუშაოდან განთავისუფლებული ან მოხსნილი, რომ კანტორის უფროსი მის სამუშაოზე აღდგენის ბრძანებას წერს?

1963 წლის პირველ ნოემბერს კანტორის უფროსი მორიგ ბრძანებას წერს: „განთავისუფლდეს სამუშაოდან უფროსი ბუხჰალტერი ნ. გ. გაფრინდაშვილი, როგორც ამ თანამდებობისათვის შეუფერებელი. საფუძველი — გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს მთავარი ბუხჰალტერის ამბ. ბელსკის 1963 წლის 12 სექტემბრის მომართვა".

გავეცანით ამ მომართვას. ამბ. ბელსკის აგვისტოში მართლაც შეუფოწმებია კანტორა და სერიოზული დარღვევები აღმოუჩენია, მაგრამ იქ ნ. გაფრინდაშვილი 2 მარტიდან ხომ ბიულეტენზე იმყოფებოდა და ამას ნ. მეტონიძე ცვლიდა.

მეორე უხერხულობაშიც ვარდება კანტორის უფროსი. ნ. გაფრინდაშვილის განთავისუფლებას საფუძველად უდებს ამბ. ბელსკის 12 სექტემბრის მომართვას. მერე და ეს მომართვა ხომ 25 დღით ადრე მიღებული ჰქონდა ჯ. კობახიძეს, როცა 12 ოქტომბერს ნ. გაფრინდაშვილს აღდგენის ბრძანება დაწერა?

კანტორის უფროსთან პატარა შეკითხვაც გვაქვს: ათი ოქტომბრიდან პირველ ნოემბრამდე კანტორაში ორი ბუხჰალტერი ითვლებოდა. რა უფლებით? საიდან გაიცა ხელფასი? ანდა როდის იყო, რომ თანამდებობისათვის შეუფერებელ მუშაკებს აჯილდოებდნენ? სწორედ ასეთ შემთხვევისას ამბობენ: „მარკვენმა არ იცის, რას აკეთებს მარცხენა".

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ნ. გაფრინდაშვილი მართლაც ხანგრძლივად იყო ბიულეტენზე. მაგრამ ავადმყოფობისათვის ადამიანებს ხომ არ სჯიან.

ნ. გაფრინდაშვილმა მიმართა პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტს, საქალაქო საბჭოს აღმასკომს, პროკურატურას, პროფკავშირებს. მათ შეისწავლეს ეს საკითხი, მაგრამ კანტორის უფროსი ჯ. კობახიძე არავის რჩევა-მითითებას არ იღებს, თვითნებობს, ჯიუტობს...

ჩვენ არ ვიცით ნ. გაფრინდაშვილის ბუხჰალტერული შესაძლებლობანი, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ დამთავრებული აქვს ტექნიკუმი და სამუშაოზე უბრალო მოითხოვება არა აქვს მოღებული.

ჯ. კობახიძე განმარტავს: „გაზიფიკაციის მთავარმა სამმართველომ კანტორის ბუხჰალტრად დაამტკიცა ნ. მეტონიძე, რომელსაც თვლის მაღალი კვალიფიკაციისა და მეტი პრაქტიკული გამოცდილების მქონე მუშაკად".

ჯერ ერთი. სამმართველომ ნ. მეტონიძე დაამტკიცა ჯ. კობახიძის რეკომენდაციით. შემდეგ — თუ კანტორის უფროსმა ნ. მეტონიძის ბუხჰალტერული მონაცემები იცის, ისიც უნდა მოეხსენებოდეს, რომ იგი კომბინაციებშიც დახელოვნებულია.

თვითნებობა საქმეს ვნებს. ბრძანებები დაკერებით უნდა იწ

საერთაშორისო დეკალქვეული ცხოვრების ცხოვრება

მეგობრობის მატიანე

სტოკჰოლმი, 23 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ნაშუადღევს სტოკჰოლმის ეროვნულ მუზეუმში გაიხსნა დიდი გამოფენა „შვეიცია-საბჭოთა კავშირი დოკუმენტებში, ხელოვნებასა და კულტურაში 1000 წლის მანძილზე". საბჭოთა კავშირისა და შვეიციის არქივთა ისტორიული დოკუმენტები, ავრეთვე ხელოვნების უამრავი საგანი და ნაწარმოებნი წარმოსახავენ შვეიცია-რუსეთის დიპლომატიურ, ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობას უძველესი დროიდან დღემდე.

გამოფენის სპეციალური განყოფილება ეძღვნება ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ყოფნას სტოკჰოლმში.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. კ. რომანოვსკი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გაზეთ „პრავდის" მთავარი რედაქტორი პ. ა. სატიუკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საბჭოთა კავშირის სტოკჰოლმის საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

დამსწრეთა შორის შვეიციის მხრივ იყვნენ საგარეო საქმეთა მინსტრი ტ. ნილსონი, განათლების მინისტრი რ. ედენმანი, შვეიცის ელჩი სსრ კავშირში ბ. იარინგი.

შვეიცის საგარეო საქმეთა მინისტრი ტ. ნილსონი გულთბილად მიესალმა საბჭოთა სტუმრებს. თავის გამოსვლაში მან გამოფენა დაახასიათა როგორც დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც ხელს შეუწყობს შვეიციისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის კიდევ უფრო გაფართოებას.

საგულისხმოა, რომ იმ დოკუმენტების დიდი კოლექციის გამოფენა, რომლებიც მოწმობენ ჩვენი ქვეყნების დიდი ხნის მეგობრულ ურთიერთობას, იხსნება იმ დროს, როცა დიდი მოვლენაა ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში — აქ მშვიდობისა და მეგობრობის ვიზიტად იმყოფება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, განაცხადა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ხაზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. კ. რომანოვსკიმ გამოფენის გახსნისას.

ისტორია დამაჯერებლად გვიჩვენებს, განაგრძო ს. კ. რომანოვსკიმ, რომ ჩვენი ქვეყნების კეთილმეზობლურ ურთიერთობას მხოლოდ სარგებლობა მოაქვს ორივე ხალხისათვის, ხელს უწყობს მათს ეკონომიურ აყვავებასა და ურთიერთ სულიერ გამდიდრებას.

იმედი გვაქვს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტი შვეიცარიაში კიდევ მეტად განამტკიცებს ჩვენი ქვეყნების მეგობრულ ურთიერთობასა და კეთილნაყოფიერ თანამშრომლობას და დიდმნიშვნელოვანი ფურცელი იქნება სსრ კავშირისა და შვეიციის მეგობრული ურთიერთობის ისტორიულ მატიანეში, რაც ასე მკაფიოდ არის წარმოდგენილი ამ გამოფენაზე, ხაზი გაუსვა დასასრულ ს. კ. რომანოვსკიმ.



შვეიციის დედაქალაქი სტოკჰოლმი. ფოტო ი. სინიცინისა („ახალი ამბების" საგენტო).

უდიდესი ინტერესი

სტოკჰოლმი, 24 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). შვეიცის პრესის ფურცლებზე წამყვანი ადგილი უკავია რეპორტაჟებს, ანგარიშებს, ფოტოსურათებს შვეიციაში საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის ყოფნის შესახებ. გაზეთები 5-6 სრულ გვერდს უთმობენ ვიზიტს — სკანდინავიის ქვეყნებისათვის ამ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენის აღწერას.

ცნობებს ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრების, მოლაპარაკების, გამოსვლების შესახებ დაუყოვნებლივ გადასცემს შვეიცის რადიო და ტელევიზია, ხოლო ახალი ამბები და რეპორტაჟები ვიზიტთან დაკავშირებული ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ ევროვიზიის სისტემით გადაიცემა ევროპის სხვა ქვეყნებში.

პრეს-ცენტრი, რომელიც რიგსდაგის შენობაშია მოთავსებული, ემსახურება პრესის, კინოს, რადიოსა და ტელევიზიის დაახლოებით 600 წარმომადგენელს. ჟურნალისტთა ასეთი მოზღვავება ჯერ არ ყოფილა შვეიციაში!

რა თქმა უნდა, შვეიცის ბევრ გაზეთს შორის არის ისეთი გაზეთებიც, რომლებსაც არ მოსწონთ ეს ვიზიტი და ცდილობენ მოწამლონ ატმოსფერო. მაგრამ წერები, რომელთა ინტერესებს ეს გაზეთები გამოხატავენ, — როგორც „ნიუ დაგი" აღნიშნავს, შვეიდი ხალხი როდია, რომელსაც ესმის, თუ რა უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტს სკანდინავიის ქვეყნებში.

დიდი ინტერესი გამოიწვია სიტყვამ, რომელიც გუშინ წარმოთქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა სტოკჰოლმის საქალაქო რატუშაში. ამ სიტყვის შინაარსი დაწერილებით მოჰყავთ გაზეთებს.

ბევრი გაზეთი აშუქებს ნ. ს. ხრუშჩოვისა და ტ. ერლანდერის გუშინდელ მოლაპარაკებას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ორივე მხარე ცდილობდა გაეგო ერთმანეთის შეხედულებანი სხვადასხვა საერთაშორისო პრობლემაზე. დიდი ყურადღება დაეთმო ვაჭრობის საკითხებს, კერძოდ გრძელვადიან სავაჭრო შეთანხმებათა დადების საკითხს, შეცნიერების, სოფლის მეურნეობისა და კულტურის დარგში თანამშრომლობის კიდევ უფრო განვითარებას.

ავტოგუსეგი კუგისათვის

ლონდონი, 23 ივნისი. (საკდესი). ინგლისის პრესა კმაყოფილებით შეხვდა ცნობას, რომ კუბამ ავტობუსები შეკვეთა გაუდიდა ინგლისის კომპანიას „ლეილანდ მოტორსს" 450-დან 950 ცალამდე. კომპანიამ გადასცა კუბის ელჩს ლონდონში პირველი ავტობუსი და რამდენიმე დღის შემდეგ კუბაში გაგზავნიან პირველ პარტიას — 80 ავტობუსს.

ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული წრეები ისტერიულ კამპანიას აწყობენ ამ შეკვეთის გამო, ცდილობენ ზეგავლენა მოახდინონ ინგლისზე, რათა ხელი შეუშალონ ამ გარიგებას.

ინგლისის მთელი რიგი გაზეთები დღეს კვლავ ხაზგასმით აღნიშნავენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ინგლისის დამოუკიდებელ პოზიციას ვაჭრობის საკითხებში. მემარჯვენე „დეილი ტელეგრაფიც" კი წერს: „როგორც სავაჭრო ქვეყანას ჩვენ არ შეგვიძლია შევზღუდოთ ჩვენი გარიგებები მხოლოდ იმ ქვეყნების სულ უფრო ვიწრო წრით, რომელთა პოლიტიკას ვიწონებთ".

ლ. ჯონსონის დიდი სინანული

ვაშინგტონი, 23 ივნისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა დღეს პრეს-კონფერენციაზე გამოაცხადა, რომ შეერთებული შტატების ელჩი სამხრეთ ვიეტნამში ჰენრი კებოტ ლოჯი გადადგა და ალბათ მიმდინარე კვირის დამლევს დაბრუნდება ვაშინგტონში.

ამერიკის ახალ ელჩად სამხრეთ ვიეტნამში დანიშნულია ამერიკის შეერთებული შტატების შტაბების უფროსთა კომიტეტის ახლანდელი თავმჯდომარე გენერალი მაქსუელ ტეილორი. ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ ვიეტნამის ელჩის მოადგილედ (ახალი პოსტი. — რედ.) დაინიშნა ალექსის ჯონსონი, რომელიც დღემდე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწედ იყო.

შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი დაიკავა ამერიკის შეერთებული შტატების არმიის შტაბის ახლანდელმა უფროსმა გენერალმა ერლი უილერმა.

პრეს-კონფერენციის მსვლელობაში ჯონსონმა გააცხადა, რომ ლოჯმა თავისი თხოვნა გადადგომის შესახებ, დათარიღებული 19 ივნისით, დაასაბუთა იმით, რომ უნდა დაუბრუნდეს კერძო ცხოვრებას „პირადი ხასიათის მიზეზებით". ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა განაცხადა, „დიდი სინანულით" დავეთანხმე ლოჯის გადადგომას, მას ვაშინგტონში მოელიან ამ კვირაში და შევხვდებიო.

პრეზიდენტმა ჯონსონმა კვლავ განაცხადა, რომ შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ დაეხმარონ სამხრეთ ვიეტნამს „კომუნისტური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში".

შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი, განაცხადა შემდეგ ჯონსონმა, დათანხმდნენ შეისწავლონ მეცნიერული თანამშრომლობის შესაძლებლობა ზღვის წყლის გამტკნარების დარგში, კერძოდ ამ მიზნით ატომური ენერგიის გამოყენების შესაძლებლობა. მან იმედი გამოთქვა, რომ ამას შეიძლება მოჰყვეს ახალი დიდმნიშვნელოვანი აღმოჩენები.

საშიში ზრახვები

ნიუ-იორკი, 24 ივნისი. (საკდესი). გუშინ სენატორმა აიკენმა (რესპუბლიკელი, ვერმონტის შტატი) განაცხადა: დარწმუნებული ვარ, რომ შეერთებული შტატები აპირებენ ომია გაფართოებას სამხრეთ აზიაშიო, იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტო.

აიკენმა თავისი აზრი გამოთქვა სენატის საგარეო საქმეთა კომისიის დახურული სხდომის შემდეგ, რომელიც მიეძღვნა უცხოთის სამხედრო დახმარებისათვის განკუთვნილ აასიგნებათა განხილვას. ამ სხდომაზე გამოვიდნენ თავდაცვის მინისტრი მაკნამარა და გენერალი ტეილორი, რომელიც პრეზიდენტმა ჯონსონმა დანიშნა ელჩად სამხრეთ ვიეტნამში.

სენატორმა მორზემ (დემოკრატი, ორეგონის შტატი), რომელიც მკაცრად აკრიტიკებს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას სამხრეთ ვიეტნამში, განაცხადა სენატში: ჩემი აზრით, მაკნამარასა და ტეილორის გამოსვლა საგარეო საქმეთა კომისიაში მოასწავებს, რომ შეერთებული შტატები „აპირებენ გაიჯაჭოონ ომი აზიაში და რომ კაცობრიობის უმრავლესობაა 500 წელიწადს ეძულება ეს ქვეყანა".

კანადრეუ ამერიკაში

ნიუ-იორკი, 24 ივნისი. (საკდესი). საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი პაპანდრეუ გუშინ ჩავიდა შეერთებულ შტატებში იმისათვის, რომ პრეზიდენტ ჯონსონს მოელაპარაკოს კვიპროსში შექმნილი მდგომარეობის საკითხზე. საბერძნეთის პრემიერ-მინისტრის რეაქციული თვითმფრინავი დაეშვა ლენგლის (ვირჯინიის შტატი) საბჭედრო-საჰაერო ბაზაზე ერთ საათზე მეტი ხნის დაგვიანებით. დაგვიანება გამოიწვია ეუკვმა, თითქოს თვითმფრინავზე ბომბი ყოფილიყოს. ეს ეუკი, რომელიც წარმოიშვა თვითმფრინავის მაღრიდში დგომის დროს, არ დადასტურდა.

ეს ხელს უწყობს დაძაბულობის შენელებას

ლონდონი, 24 ივნისი. (საკდესი). ინგლისის მთავრობა მხარს უჭერს მშვიდობიანი ვაჭრობის განვითარებას საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, განაცხადა დღეს ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა ედვარდ დიუ კენმა საუბრებზე, რომელიც ბრიტანეთის მრეწველთა ეროვნულმა ასოციაციამ მოაწყო ნიუკასლში.

ჩვენ მიგვაჩნია, თქვა დიუ კენმა, რომ სავაჭრო ურთიერთობის განვითარება დიდ როლს ასრულებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაძაბული ურთიერთობის შენელებაში.

დიუ კენმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხუთ წელიწადში ინგლისის ვაჭრობა სსრ კავშირთან და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებთან 60 პროცენტით გაიზარდა, და ამავე დროს აღიარა, რომ სოციალისტური ქვეყნების ხვედრითი წონა ინგლისის ვაჭრობაში ჯერჯერობით შედარებით დაბალია.

მინისტრი მიესალმა იმას, რომ ხუთი წლით გაგრძელდეს ინგლის-საბჭოთა კავშირის სავაჭრო შეთანხმება.

დასასრულ დიუ კენმა აღნიშნა, რომ სოციალისტურ ქვეყნებში კარგი პერსპექტივებია ინგლისის საქონლის გასასაღებლად და წარმატება უსურვა ინგლისელ ბიზნესმენებს, რომლებიც ავითარებენ ვაჭრობას აღმოსავლეთთან.

ვიზიტი დამთავრდა

ვაშინგტონი, 24 ივნისი. (საკდესი). თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ინენიუმ დაამთავრა ორი დღის ვიზიტი ვაშინგტონში, სადაც ჩავიდა პრეზიდენტ ჯონსონის მიწვევით.

ჯონსონმა და ინენიუმ, ნათქვამია გუშინ გამოქვეყნებულ ერთობლივ კომუნიკეში, განიხილეს კვიპროსის პრობლემის ყველა ასპექტი. საუბრის დროს „განიხილეს მეთოდები, რომელთა საშუალებითაც შეიძლება შოგვარდეს ახლანდელი სიძნელენი მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით". კომუნიკეში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ აუცილებლად საჭიროა დაიდოს ასეთი შეთანხმება მტკიცე მოწესრიგების მიღწევისათვის.

ჯონსონთან უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ თეთრი სახლიდან გამოსვლისას ინენიუმ კორესპონდენტებს განუცხადა, რომ „მეტად კმაყოფილია" პრეზიდენტთან საუბრით, მაგრამ უარი თქვა შეხებოდა ამ საუბრის დეტალებს.

ოლაპარაკება დამთავრდა

ბელგრადი, 23 ივნისი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ერთობლივი კომუნიკე არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტ ზ. მოჰიედ-დინისა და იუგოსლავიის ვიცე-პრეზიდენტ ა. რანკოვიჩის მოლაპარაკების შესახებ.

კომუნიკეში, რომელიც ტანიუგის საგაზეთო გადასცა, ნათქვამია, რომ ვიცე-პრეზიდენტებმა კმაყოფილებით აღნიშნეს ორი ქვეყნის ურთიერთობის წარმატებით განვითარება და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ კიდევ უფრო ფართო შესაძლებლობა აქვთ თანამშრომლობის განვითარებისათვის.

უნგრეთის მოსახლეობის რიცხვი

როგორც უნგრეთის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იტყობინება, აგვისტოდ უნგრეთის მოსახლეობა შეადგენს 10.116 ათას კაცს.

ფრანგი ხალხის საკეთილდღეოდ

პარიზი, 23 ივნისი. (საკდესი). სიტყვა წარმოთქვა რა დღეს საავტომობილო ქარხანა „რენოს" მუშების კრებაზე ბულონ-ბი

ჩვენი ინტერვიუ

გუშინ „კომუნისტის“ რედაქციაში

იტალიის ცის ქვეშ

ახლახან იტალიიდან დაბრუნდა სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, საკავშირო სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი შჩა ჯაფარიძე, რომელმაც შემოქმედებითი მივლინებით თითქმის ერთი თვე დაჰყო რაფაელისა და მიქელანჯელოს სამშობლოში.

გუშინ შჩა ჯაფარიძე „კომუნისტის“ რედაქციას ეწვია და თან მოიტანა თავისი იტალიური ჩანახატები. კორესპონდენტმა სთხოვა მხატვარს, რომ ჯერ ჩანახატებთან ერთად ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის სიტყვიერადაც მოეთხრო თავისი იტალიური შთაბეჭდილებები.

ქვემოთ ვაქვეყნებთ შჩა ჯაფარიძის იტალიურ ჩანახატებს და საუბარს, რომელიც ჩვენმა კორესპონდენტმა ჩაწერა.

— იტალიაში ამჯერად მეორედ ვიყავი შემოქმედებითი მივლინებით, რამაც უაღრესად ბევრი რამ შემძინა. ექვსი კაცისაგან შემდგარ ჩვენს ჯგუფში იყო აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო მხატვარი ბორის იოგანსონი. ვცხოვრობდით რომში, ისე კი ბევრს ვმოგზაურობდით. ვიყავით ფლორენციაში, ვენეციაში, პადუაში, ნეაპოლსა და პომპეაში.

მთელ იტალიაში და, მეტადრე რომში, ერთმანეთის გვერდით ცხოვრობს წარსული და თანამედროვეობა. იტალიელებს დღესაც სამასწლა უწევენ ანტიკური ხიდები და შადრევნები. აკვა ვირგოს წყალსადენი, რომელიც იმპერატორ ავგუსტეს დროს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ საუკუნეშია აგებული, დღესაც წყალს აწვდის რომაელებს. კარაკალას თერმების ნანგრევებს რომის საოპერო თეატრი ბუნებრივ დეკორაციად იყენებს ვერდის ოპერა „აიდას“ ღია ცისქვეშ დადგმისას.

რომში მატარებლით ჩავედით. იტალიის უძველეს დედაქალაქს ულტრათანამედროვე რკინიგზის სადგური აქვს. ტერმინი — ასე ეძახიან რომაელები იმ სადგურს, რომელიც მხოლოდ ბეტონისაგან და მინისაგან არის აგებული, ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნისდროინდელი დიოკლეტიანეს თერმების მეზობლად. აქვეა რომის ერთ-ერთი პირველი სიმაგრის — ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე საუკუნის დროინდელი სერვიუს ტულიუსის ნაგებობის კედელი, რომელიც ულტრათანამედროვე ტერმინის მშენებლობის დროს კი არ აუღიათ, არამედ ნაწილი სადგურის შიგნით მოუქცევიათ, როგორც ისტორიული ძეგლი და დაუცავთ, რაც ნამდვილად მეტ შნოსა სძენს ახალ არქიტექტურულ ანსამბლს.

ანტიკური რომის მფეთქავი გულია კოლიზეუმი, რომელიც ვესპასიანესა და ტიტეს დროს აგებული ჭეშმარიტად გენიალური ნაგებობაა. სადგურ ტერმინიდან კოლიზეუმამდე ათი წუთის სავალია მეტროთი. რომის მეტრო რამდენიმე ათეულ წელიწადს ითვლის, კოლიზეუმი კი თითქმის ათას ცხრაასი წლისაა. ამ ხნის მანძილზე იგი მრავალჯერ ჩავარდნილა შავ დღეში ბარბაროსების შემოსევისა და მიწისძვრის დროს.

მეტად საგულისხმოა ერთი რამ XV-XVI საუკუნეების იტალიურ არქიტექტურულ აზროვნებაზე ძლიერ მეტყველი ზეგავლენა მოუხდენია კოლიზეუმს, იმ ხანად რომში დიდი მშენებლობა დაწყებულა და ქვასატეხად სწორედ კოლიზეუმი გამოუყენებიათ. ამ ამბავს დიდად აღუშფოთებია რაფაელი, რომელმაც, რომის მთავარი არქიტექტორი გახდა თუ არა, ხმა აღიმაღლა კოლიზეუმის დასაცავად, აღარ მოასვენა პაპი. აქ იმის თქმა მინდა, რომ დიდმა მხატვრებმა შრომასთან ერთად ბრძოლაც შესანიშნავად იცოდნენ და თავიანთი ხელოვნების ძალას მსოფლიო სამშობლოს მშვენიერების შესაქმნელად და შესანარჩუნებლად იყენებდნენ. თუნდაც მიქელანჯელოს მაგალითი ავიღოთ.

ფლორენციაში ერთ-ერთი უძველესი მოედანი მიქელანჯელოს სახელს შემთხვევით რდი ატარებს. ეს მოედანი მდინარე არნოს მარცხენა ნაპირზე აღმართულ სან მინიატოს შენობას აკრავს, აქვე დგას „დავითის“ ბრინჯაოს პირი, როცა ფლორენციას მტერი გარს შემოერტყმია, მიქელანჯელოს აქ რამდენიმე სიმაგრე აღუმართავს და ქალაქის დაცემამდე (1530) თურმე თვითონ ხელმძღვანელობდა ბრძოლას.

დიდ იტალიელ შემოქმედთა ნახელავი (ორიგინალები) ძირითადად მუზეუმებშია თავმოყრილი. რომის ეროვნულ მუზეუმში, ვატიკანსა და კაპიტოლიუმის მუზეუმშია დღეს ანტიკური ქანდაკების, მოზაიკისა და გამოყენებითი ხელოვნების მსოფლიოში საუკეთესო კოლექცია. კაპიტოლიუმის მუზეუმში ვნახეთ, მაგალითად, რომის სიმბოლოდ ქცეული ბრინჯაოს „კაპიტოლიუმის ძუ მგელი“, რომელიც ეტრუსკ ოსტატებს ჩამოუსხამთ ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში. ვატიკანშია პრაქსიტელის, ლისიპეს, სკოპასის ნამუშევართა რომაული პირები. აქვე, მიციქულთა სასახლეში და უფრო ძველ სოსტეტს კაპელაში, რაფაელისა და მიქელანჯელოს საქმეყნოდ ცნობილი კედლის მხატვრობაა.

რომთან შედარებით ფლორენციას, თუ შეიძლება ითქვას, გრაფიკული იერი აქვს. ამ ამბავს, ალბათ, ხელს ისიც უწყობს, რომ ჰაერი მშრალია, გამჭვირვალე და ყოველი საგანი საოცრად მკაფიოდ ჩანს.

რომამდე აქ, მდინარე არნოზე, ექვსი ხიდი ყოფილა, ხუთი გერმანელებს დაუნგრევიათ უკანდახევისას, აჯანყებულ ფლორენციელებს მხოლოდ ერთიღა გადარჩენიათ — პონტე ვეკიო. თუ იტალიაში მოხვდეთ, ფლორენცია აუცილებლად უნდა ინახულოთ, გადით სინიორიას მოედანზე, იქ დგას ბენვენუტო ჩელინის „პერსეა“, რომელიც 1554 წლის 27 აპრილს დაუდგამთ. უეჭველად შეიარეთ ბარჯელოს ეროვნულ მუზეუმში, აი სად იერძნობთ ხელოვნების „განმწმენდ“ ძალას.

ვიყავით აგრეთვე ფლორენციის სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენაზე. ჩვენი მასპინძელი იყო აკადემიის რექტორი, მხატვარი-მონუმენტალისტი ჯიოვანი კალაჩჩი. ჭეშმარიტად დიდი ტრადიციები შეტად კეთილისმყოფ ნიადაგს ქმნიან ახალ თაობათა აღსაზრდელად არა მარტო ამ ქალაქში, არამედ მთელ იტალიაში.

ძველთაძველი პადუაც ქალაქი-მუზეუმია. მეორე მსოფლიო ომის დროს სასწაულით გადარჩენილი სკროვენის კაპელა იტალიის აღორძინების ფერწერის აკვანია. აქ ჯოტოა მეფე, ჯოტოს ფრესკები აცოცხლებენ კაპელა დელ არენას.

იტალიელებს უყვართ თავიანთი დიდი ეროვნული წარსული და კანონიერად ამაყობენ კიდეც. ამ უძველესი ქვეყნის ეკონომიკაში ძალიან დიდ როლს ასრულებს ტურიზმი. იტალიაში ტურიზმის სამინისტრო და ტურისტული პოლიციაც კი არსებობს. რომისა და ფლორენციის შემდეგ ტურისტები ხშირად ვენეციისაკენ მიემგზავრებიან. ვენეცია დღესაც ისეთივეა, როგორიც იყო რამდენიმე საუკუნის წინათ. აქ გარეგნულად თითქმის არაფერი არ შეცვლილა XVIII საუკუნის შემდეგ, გარდა ერთი ამბისა — ჩვენი იქ ყოფნის დროს ვენეციელები უზიოდნენ სასმელი წყლის ნაკლებობას, თანაც ამ ასი წლის მანძილზე ქალაქს ოცდაათი სანტიმეტრით დაუწევია და ეს პროცესი ახლაც გრძელდება, რაც ზღვით დაფარვის საშიშროებას უქმნის ქალაქს.

ბუნებრივია, გავეცანით იტალიის თანამედროვე მხატვრობასაც, რომელიც ძველი ხელოვნების გვერდით ფერმკრთალად გამოიყურება (სამწუხაროდ, ვერ შევხვდით შესანიშნავ ოსტატ ბუტუზოს, იგი ჩრდილოეთშია ახლაც და იქ მუშაობს), მაგრამ ძველ დიდ ტრადიციებს ზეგავლენის მომხდენი უზარმაზარი ძალა აქვთ და იტალიის თანამედროვე ხელოვნებაში რეალისტური სული თანდათან იმარჯვებს.

ჩემზე ძალიან კეთილი შთაბეჭდილება მოახდინეს თვითონ იტალიელებმაც, როგორც უაღრესად თავაზიანმა, ყურადღებიანმა და სალმიანმა ხალხმა (იტალიელი დღეში ხუთჯერ რომ შეგხვდეს, ხუთჯერვე მოგესალმება).

ჩანახატები, რომლებიც იტალიიდან ჩამოვიტანე, ქაღალდზე სიყვარულით აღბეჭდილი ხსოვნაა ამ ლამაზი ქვეყნისა, სადაც ერთი თვე გავატარე.



შჩა ჯაფარიძისა



„იტალიური ალბომიდან“ დღეს ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ ორ ჩანახატს. ერთი (ზედა) შესრულებულია ხუთ მაისს ფლორენციაში, მეორე — თვრამეტ მაისს რომში.

აი ასეთი ჩანდა ფლორენციის ერთ-ერთი კუთხე იმ სასტუმროდან, სადაც ქართველი მხატვარი ცხოვრობდა.

წარსული და თანამედროვეობა რომ ბევრგვერდ არსებობენ, ეს ამ ... რომული ჩანახატიდანაც ჩანს.

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

მარგანეცი — შვეიცარია და ნორვეგიაში

ჭიათურა. (საკ. კორ.). სახელგანთქმული ქართული მარგანეცი ათობით საბჭოთა მეტალურგიულ და ქიმიურ ქარხანაში მიდის. ქართული მარგანეცი ეგზავნება თითქმის ყველა დემოკრატიულ ქვეყანას. მისი მომხმარებლები არიან საფრანგეთის, იტალიის, ინგლისის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების მეტალურგიული ქარხნები.

დიდძალი მარგანეცი იგზავნება შვეიცარია და ნორვეგიაში. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის სკანდინავიის ქვეყნებში ოფიციალური ვიზიტის აღსანიშნავად შვეიცარია და ნორვეგიაში ამ დღეებშიც მაღალხარისხოვანი მარგანეცი გიგზავნეთ.

ბათუმიდან პლოვდივში

ბათუმი. (საკ. კორ.). 20-ზე მეტი დასახელების სამკურნალო პრეპარატს უშვებს ბათუმის კოფეინის ქარხანა.

ამ დღეებში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე საექსპოზიციოდ გაიგზავნა 10 დასახელების პრეპარატი.

ამას წინათ ქარხანამ ათთვისა პრეპარატ კოლხამინის წარმოება. იგი გაიგზავნება მსოფლიო გამოფენაზე ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში.

ᲛᲝᲚᲓᲐᲕᲔᲚᲘ ᲡᲬᲐᲛᲠᲔᲑᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). **საწარმოო გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით ამ დღეებში ქუთაისის საკონსერვო ქარხნის კოლექტივს ესტუმრა მოლდავეთის სს რესპუბლიკის ქ. ბენდერის საკონსერვო ქარხნის მუშათა და სპეციალისტთა ჯგუფი.**

მოლდაველი მეკონსერვეები განსაკუთრებით დაინტერესდნენ ქუთაისის საკონსერვო ქარხნის ავტომატური ხაზებით, აგრეთვე საწარმოს ნოვატორთა მიერ შექმნილი ახალი მანქანებით.

სამი შვილი ერთად

ხულო. (საკ. კორ.). გვიან ღამით ხულოს რაიონულ საავადმყოფოში მოიყვანეს სოფელ ელელიძეების მცხოვრები ასე ძირკვაძე, რომელსაც გართულებული მშობიარობა ჰქონდა.

განთიადისას ასე ძირკვაძეს სამი შვილი შეეძინა — ორი ვაჟი და ერთი ქალი.

მკითხველის კალმით

□ **დაბა ორჯონიკიძეში** გაიმართა ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ მკითხველთა კონფერენცია. ჟურნალის მუშაობის ირგვლივ მოხსენება გააკეთა ჟურნალის პასუხისმგებელმა მდივანმა ვ. კიკნაძემ.

სიტყვებით გამოვიდნენ კიცხის სკოლა-ინტერნატის სასწავლო ნაწილის გამგე ი. აბულაძე, პარტიული განათლების კაბინეტის გამგე პ. მაღრაძე, მასწავლებლები პ. ნებიერიძე, ა. გელაშვილი.

ჟ. სახვაძე.

□ **ზუგდიდის** ი. ჭავჭავაძის სახელობის № 1 საქალაქო ბიბლიოთეკამ კონოფაატ „ოქტომბერში“ მოაწყო მკითხველთა კონფერენცია თემაზე „ქიმია ადამიანის ყოფაცხოვრებაში“.

კონფერენციის შემდეგ უჩვენეს კინოჟურნალი „ქიმია ემსახურება ხალხს“.

ბ. ალშიბაია.

ᲕᲘᲜ ᲨᲔᲡᲕᲓᲔᲑᲐ ᲞᲔᲢᲠᲝᲡᲘᲐᲜᲡ?

ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘ, 23 ივნისი. (საკდესი). საერთაშორისო საჰადრაკო ფედერაციის პრეზიდენტმა ფ. როგარდმა დაამტკიცა პრეტენდენტთა მომავალი 1965 წლის ტურნირის რვა გროსმაისტერის მატჩების რეგლამენტი. ტურნირში გამარჯვებული მოიპოვებს უფლებას ეთამაშოს მატჩი მსოფლიოს ჩემპიონს ტ. პეტროსიანს.

მოღებული ოლიმპიური სისტემით პირველ წრეში ერთმანეთს ეთამაშებიან მატჩს შემდეგი წყვილები: მ. ბოტვინიკი — ვ. სმისლოვი, პ. კერესი — ბ. სპასკი, ბ. ლარსენი — ბ. ივკოვი, მ. ტალი. და ის, ვინც გაიმარჯვებს ს. რეშევსკი-ლ. პორტიშის მატჩში. მეორე წრეში დარჩება ოთხი, ხოლო მესამე წრეში — ორი გამარჯვებული. მათგან უძლიერესი შეხვდება ტ. პეტროსიანს 24 პარტიისაგან შემდგარ მატჩში (1966 წელს).

რეშევსკი-პორტიშის მატჩი, რომელშიც გაითამაშებენ ოთხ პარტიას, 25 ივნისს დაიწყება.

საზონთაშორისო ტურნირის მონაწილე საბჭოთა მოჭადრაკეები მოსკოვს დაბრუნდებიან 26 ივნისს რამდენიმე საჩვენებელი გამოსვლის შემდეგ. რომლებსაც ისინი გამართავენ პოლანდიაში.

მეორე ეშელონში

გუშინ გურჯაანსა და რუსთავში შედგა რსფსრ მეოთხე ზონის „ბ“ კლასის გუნდების მორიგი მატჩები ფეხბურთში.

გურჯაანში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ალაზანი“ და ნოვოროსიისკის „ცემენტი“. მეტოქეებმა ორ-ორი ბურთი გაიტანეს და მატჩი ფრედ დაამთავრეს.

რუსთავის „მეტალურგმა“ საკუთარ მოედანზე დაამარცხა მაიკოპის „უროჟაი“ ანგარიშით 2:1.

საერთაშორისო შეხვედრები

საბჭოთა კავშირში ტურნეს მართავენ ლოძის ლკს-სა და იუგოსლავიის „ჰაიდუკის“ ფეხბურთელთა გუნდები.

გუშინ „ჰაიდუკმა“ დამარცხება განიცადა დონის როსტოვში ადგილობრივ სკა-სთან 1:2, ხოლო ლოძის ლკს-მ იაროსლავლში მოუგო „შინიკს“ 3:0.

მატჩი ქუთაისში

გუშინ ქუთაისის ტორპედოელებმა საკუთარ მოედანზე გამართეს ამხანაგური მატჩი ფეხბურთში ერევნის „არარატთან“ და გაიმარჯვეს ანგარიშით 6:1.



ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ • ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘ • ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

გამარჯვება ვარშავაში

„დინამო“ (თბილისი) — „გვარდია“ (ვარშავა) 4:1

ვარშავა. 24 ივნისი. **(ტელეფონით სპეც. კორ.).** მიუხედავად იმისა, რომ თბილისელებმა სტარტზე წაიბორძიკეს. მათ ვარშავაში შეუხვედებელი ინტერესით მოელოდნენ. მატჩის ღღეს ქართველ ფეხბურთელებს სასტუმრო „სოლნიჩნაში“ ვეწვიეთ. დინამოელები კარგ განწყობილებაზე იყვნენ და წარუმატებლობის რეაბილიტაცია წყუროდათ.

„ეოლსკო პოლსკიაის“ სტადიონზე ფეხბურთის ათასობით მაყურებელმა მოიყარა თავი. დღეს ვარშავაში ჩამოვიდნენ საბჭოთა ოლიმპიელები და ისინიც ესწრებოდნენ თბილისის „დინამოსა“ და ვარშავის „გვარდიის“ მატჩს.

შეხვედრას წინ უძღოდა საზეიმო ცერემონიალი. თბილისელებმა „გვარდიას“ გუნდს გადასცეს თასი, ხოლო ფეხბურთელებს სამახსოვრო სუვენირდ ნიშნები. თამაშს სჯიდა ვარშავის მსაჯთა ბრიგადა.

დინამოელებმა ბრძოლა სამხრეთული ტემპერამენტით დაიწყეს. იერიშს იერიში მოსდევდა, მასპინძლებს ამოსუნთქვის საშუალებაც კი არ ჰქონდათ. „გვარდია“ მთლიანად დაცვაზე გადავიდა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ბარქაია და მეტრეველი. მათი კომბინაციები, გადაცემები და დარტყმები მოწონებასა და ტაშს იმსახურებდნენ.

მასპინძლები დინამოელთა საჯარიმო მოედანზე მხოლოდ მე-14 წუთზე აღმოჩნდნენ, მაგრამ უშედეგოდ. მართალია, სტუმრები ინარჩუნებდნენ ტერიტორიულ და ტექნიკურ უპირატესობას, მაგრამ იმდენად შეჯგუფებული თამაში იყო, რომ ძნელი აღმოჩნდა კარის აღება.

და მაინც 31-ე წუთზე მეტრეველისა და ბარქაიას კომბინაციას გოლი მოჰყვა. მისი ავტორი **ბარქაია** იყო. ეს ანგარიში პირველ ნახევარში უცვლელი დარჩა.

მეორე ნახევარში წვიმდა, მაგრამ ამას მძაფრი ბრძოლისათვის ხელი არ შეუშლია. 49-ე წუთზე კვლავ მეტრეველმა და ბარქაიამ გამოიჩინეს თავი. **ბარქაიამ** დაახლოებით 25 მეტრიდან მეტად ეფექტური ბურთი გაიტანა.

პოლონელებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ, ისინი იბრძოდნენ შეუპოვრად. ათი წუთის შემდეგ მცველთა შეცდომით ისარგებლა მასპინძელთა ფორვარდმა **კულაკმა** და სპასუხო ბურთი გაიტანა. მაგრამ ეს იყო და ეს. თამაშის ბოლომდე ჯერ იამანიძის მიწოდებით **ხუციშვილმა,** შემდეგ **აფშევმა** ორი ბურთი გაიტანეს.

გაიმარჯვეს თბილისის დინამოელებმა ანგარიშით 4:1.

დინამოელთა შემადგენლობაში იყვნენ: **კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, მეტრეველი, ბარქაია, ხუციშვილი, დათუნაშვილი (აფშევი).**

ი. ტკაჩენკო,
პ. კოსტიუკოვი.

სპორტული ქრონიკა

△ **ციურიხში** მოეწყო დიდი საერთაშორისო შეხვედრა მძლეოსნობაში, სადაც სხვებთან ერთად გამოდიოდნენ საბჭოთა სპორტსმენები. სიმაღლეზე ხტომაში ბადალი არ ჰყავდა ვ. ბრუმელს, რომელმაც აჩვენა შესანიშნავი შედეგი — 2 მეტრი და 24 სანტიმეტრი. ასევე პირველი იყო სიგრძეზე ხტომაში ი. ტერ-ოვანესიანი. იგი გადახტა 7 მეტრსა და 67 სანტიმეტრზე. მწვავე ბრძოლა ჰქონდა მესამე საბჭოთა მძლეოსან პ. ბოლოტნიკოვს ავსტრალიელ რ. კლარკთან 5.000 მეტრზე რბენაში. პ. ბოლოტნიკოვმა ჩინებული ფინიშით პირველი ადგილი დაიკავა. დრო — 13 წუთი და 38,6 წამი.

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲜᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲬᲕᲔᲕᲐᲠᲘ

ᲧᲕᲔᲚᲐᲛ იცის, რა სიძნელეებთან არის დაკავშირებული პატარაგაბარიტიანი, მაგრამ მძიმე წონის ტვირთის გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე. ანდა ასეთი ტვირთის შენობაში შეტანა და იქიდან გამოტანა. ასეთი სამუშაოს შესრულება უმთავრესად საგორავებით ხდება ხოლმე და ბევრი ფიზიკური ენერგიის დახარჯვას მოითხოვს, განსაკუთრებით მაშინ, თუ გადასატანი მანძილი 100-200 მეტრია.

ასეთი საშუშაოების შესასრულებლად ქ. ბათუმის ქარხანა „ელექტროკარმა“ დააპროექტა ელექტროსაწევარი, რომელიც გამოირჩევა თავისი მცირე გაბარიტებით და გაწევის დიდი უნარით. გამოცდის დროს ამ საინტერესო მანქანამ თავისუფლად გასწია 11 ტონა ტვირთი. ასეთი ტვირთის ტარებისას მანქანამ 6-7 კილოგრამი სიჩქარე აჩვენა საათში.

ელექტროსაწევარი ეტბ-300 მუშაობს ელექტროაკუმულატორების საშუალებით, იგი მუშაობის დროს ჰაერს არ წამლავს გადამუშავებული აირებით, როგორც შიდაწვის ძრავები. ამიტომ თავისუფლად შეიძლება გამოყენებულ იქნას დახურულ შენობებიც, აგრეთვე აეროპორტებში, რკინიგზის საკვანძო სადგურებში, საზღვაო ნავსადგურებში, დიდი ქარხნების ტერიტორიებზე და საამქროებში.

ეტბ-300-ს აქვს ტვირთის ავტომატური მისაბმელი და გამთიმველი კავი, რაც აადვილებს მის ექსპლოატაციას. მანქანას აქვს ორი რბილი საჯდომი, პროექტორი დამე გასანათებლად, და ყველა მანვენებლები, რაც მოძრავ სატრანსპორტო საშუალებებს მოეთხოვება ქუჩაში მოძრაობის დროს.

ამ მანქანის მექანიკური ნაწილი დააპროექტა ქარხანა „ელექტროკარის“ ახალგაზრდა კოლექტივმა, ხოლო ელექტრული ნაწილი თბილისის ელექტროტექნიკურმა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა. ბათუმის ქარხნის მიერ ეტბ-300 ტიპის მანქანების სერიული გამოშვება პირველი ცდაა საბჭოთა კავშირში. წელს ქარხანა 40 ცალ ეტბ-300-ს გამოუშვებს. ვფიქრობთ ეს მანქანა დიდად დაეხმარება ჩვენს სახალხო მეურნეობას ტვირთების დამუშავების კომპლექსურ მექანიზაციაში.

ს. ᲬᲕᲔᲠᲘᲫᲐᲛᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

* * *



სურათზე: ელექტროსაწევარ ეტბ-300-ის საცდელი ნიმუში.

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲕᲘᲪᲝᲓᲔᲗ

სად არის საზღვარი ევროპასა და აზიას შუა?

ᲐᲛ საკითხს კვლავ და კვლავ უბრუნდებიან გეოგრაფები, ისტორიკოსები, ეთნოგრაფები, ანთროპოლოგები. დედამიწის ხომ მხოლოდ ორ ნაწილს — ევროპასა და აზიას — აქვს საერთო სახმელეთო საზღვარი. სამხრეთ-დასავლეთით, აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ოდითგანვე დადგენილი საზღვარი აზიის მატერიკისა — ეგეოსის ზღვა, დარდანელი, მარმარილოს ზღვა, წყნარი ოკეანე და ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე — დავას არ იწვევს. მაგრამ შემდეგ, კავკასიით დაწყებული და ახალი მიწით დამთავრებული, აზიის კონტინენტის გეოგრაფიული საზღვარი, პირიქით, ხშირი და მრავალშრიანი განხილვის საგანი გახდა.

კავკასიის ყელის რაიონში დაისახა დაყოფის ოთხი ვარიანტი: მანიჩის ღრმულის და კუმის ქვემოწელის ხაზი, კავკასიონის წყალგამყოფი ხაზი, მდინარეები მტკვარი და რიონი და პოლიტიკური საზღვარი სსრ კავშირს, თურქეთსა და ირანს შუა. კასპიის ზღვასა და ურალის მთაგრეხილს შუა უბანზე გეოგრაფებმა წამოაყენეს დაყოფის სამი ვარიანტი: მდინარეების ურალისა და ემბის და უსტიურტის ჩრდილოეთი საზღვრის გაყოლებით.

გადაწყვეტის მრავალფეროვნებამ ის გამოიწვია, რომ მთელ რიგ შემთხვევებში გეოგრაფიული შრომების ავტორები, როცა საკითხი ეხება ევროპასა და აზიას შუა საზღვრის აღწერას, ან თავს არიდებენ კატეგორიულ პასუხს, ან წერენ გაურკვევლად, საქმის არსში ჩაუწვდომლად.

უფრო მეტიც. სანამ გეოგრაფები არჩევდნენ ევროპასა და აზიას შუა ზუსტი სახმელეთო საზღვრის საკითხს, ზოგიერთმა ავტორმა სცადა შეეცვალა იგი სხვა, ხელოვნურად შექმნილი პრობლემით. მათ საუკეთოდ მიიჩნიეს, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე საერთოდ არსებობს საზღვარი ევროპასა და აზიას შუა.

უკანასკნელ ხანს საზღვარგარეთის მთელ რიგ სტატისტიკურ და ეკონომიურ ნაშრომებში ორი ტენდენცია დაისახა: საბჭოთა კავშირს მთლიანად აზიის ქვეყნად თვლიან ან მთელი მისი ტერიტორია ევროპაში შეაქვთ.

ახალი ამბების საგგენტოს კორესპონდენტებმა თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, პროფესორ ედუარდ მურზაევს სთხოვეს ეამბნა ევროპასა და აზიას შუა საზღვრის პრობლემის თანამედროვე მდგომარეობაზე.

პროფესორი მურზაევი აზიის გეოგრაფიისადმი მიძღვნილი ოთხას ორმოცდაათზე მეტი ნაშრომის ავტორია. არაერთი წელი გაუტარებია აზიის ბევრ საზღვარგარეთ ქვეყანაში, საიდან ბუნების პირობებს სწავლობდა. მეცნიერის ერთ-ერთი უკანასკნელი ნაშრომი „სად გავიაროთ გეოგრაფიული საზღვარი ევროპასა და აზიას შუა?“, რომელიც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის უწყებებში იყო გამოქვეყნებული, წელს ამერიკის გეოგრაფიულმა საზოგადოებამაც გამოსცა.

აი რა თქვა პროფესორმა **ედუარდ მურზაევმა:**

— რამდენიმე სიტყვა პრობლემაზე უკიდურეს შეხედულებათა შესახებ. მათი მიხედვით თუ ვიმსჯელთ და საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიას ევროპაში მოვაქცევთ, ამ შემთხვევაში ჩუკოტკის ნახევარკუნძული, კამჩატკა, ყურილის კუნძულები შექმნიან ევროპის აღმოსავლეთ კიდეს... წყნარ ოკეანეზე. აგრეთვე აბსურდულად მიმაჩნია ის იდეა, რომ ევროპასა და აზიას შუა ზღვარი გაკლებულ იქნას ბალტიის ზღვასა და სსრ კავშირის დასავლეთ საზღვარზე. ასეთი ცდები შეიძლება მხოლოდ იმით აიხსნას, რომ ავტორებს სურთ წინასწარ აკეიატებული აზრი გაატაროონ.

ევროპისა და აზიის საზღვრის საკითხი არ შეიძლება გადაწყდეს არც წმინდა ანთროპოლოგიური, არც ეთნოგრაფიული, არც ლინგვისტური მიმართულებით. რა თქმა უნდა, აზიისა და ევროპის ხალხთა კულტურა ფრიად განსხვავებული და უაღრესად თავისებურია. მაგრამ არ არსებობს „აზიური“ ენები, „აზიელის“ ერთიანი ანთროპოლოგიური ტიპი, ერთიანი „აზიური“ კულტურა, მეურნეობის „აზიური“ ტიპი.

ინდო-ევროპელი, თურქი, მონღოლი, უნგრელ-ფინელი ხალხები ფართოდ არიან განლაგებული აზიისა და ევროპაში. ზოგჯერ ისინი ქმნიან ცალკე კარჩაკეტილ არეალებს, რომლებიც ძირითადი მასივისაგან შორ მანძილზე მდებარეობენ: მაგალითად, უნგრელები ევროპის ცენტრში ან თურქული ენის ხალხები (ჩუვაშები, თათრები, ბაშკირები) და მონღოლური ენის ხალხები (ყალმუხები) ვოლგისპირეთში, კასპიისპირა დაბლობზე და აღმოსავლეთ ევროპაში.

გეოგრაფიული ტერიტორიების გამიჯვნა ლინგვისტური, ანთროპოლოგიური ეთნოგრაფიული ნიშნების მიხედვით, გარდა ამისა, გამართლებული არ არის კიდევ იმიტომ, რომ დროთა განმავლობაში ეს განსხვავება სულ უფრო და უფრო იშლება.

ამიტომ რამდენადმე გასაგებია, რომ გავრცელდა ერთგვარად უცნაური თვალსაზრისი ევროპასა და აზიას შუა სახმელეთო საზღვრის პრობლემაზე: არ არის ევროპა, ისევე როგორც არ არის აზია, ამტკიცებს ზოგიერთი მეცნიერი, არის ევრაზია, და მისი გაყოფა ხელოვნურია. ამ პოზიციას ადგანან ინგლისელი გეოგრაფი პარკერი თავის სტატიაში: „ევროპა: რამდენად შორს არის?“ და ცნობილი ფრანგი მეცნიერი პიერ გეორუ წიგნში „აზია“ და სხვები.

იქნებ, ასეთ თვალსაზრისს თუ დავადგებით, საერთოდ ავიღოთ ხელი ჩვეულ ცნებებზე — „ევროპასა“ და „აზიაზე“, დედამიწის ხმელეთის მატერიკებად დაყოფის დადგენილ წესზე? მაგრამ პრაქტიკულად ეს ხომ შეუძლებელია. ასეთი ისტორიულად წარმოშობილი ცნებების ტრადიციულობა იმდენად დიდია, ეს ცნებები იმდენად მაგრად ფესვგადგმულია ადამიანის ცნობიერებაში უკვე არაერთი ათასწლეულის მანძილზე, რომ დედამიწის ყველა ხალხის კულტურის კუთვნილება გახდა.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში, 1736 წელს, თავის ნაშრომში „მთელი ციმბირის ზოგადი გეოგრაფიული აღწერილობა“ რუსეთის გეოგრაფიისა და ისტორიის მკვლევარი ვასილ ტატიშჩევი სპეციალურად ლაპარაკობდა ევროპასა და აზიას შუა საზღვრის შესახებ. მან აჩვენა ურალის მთაგრეხილის წინ და მის გაღმა გეოგრაფიული ზონების, ბუნებრივი პირობების, ფაუნის განსხვავება და წერდა: „ეს და ამის მსგავსი გარემოებანი მიზეზს გვაძლევენ მივიჩნიოთ ეს მთები საზღვრად აზიასა და ევროპას შუა“. თავის წიგნში ვასილ ტატიშჩევმა მოიყვანა ცნობილი მკვლევრის ფილიპე სტრალენბერგის აზრი, რომელიც ჩამოყალიბებული იყო წიგნში „ევროპისა და აზიის ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ნაწილი“ (წიგნი სტოკჰოლმში გამოიცა 1730 წელს). სტრალენბერგიც წინადადებას იძლეოდა საზღვრად მიეჩნიათ მთები, რომლებსაც აზიის მატერიკის ფარგლებში ფიესგადგმულია ადამიანის ცნობიერებაში ... ...